სიმულაციური თამაში განათლების თემაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა (EaP) და რუსეთში



ეს სახელმძღვანელო შეიქმნა პროექტ „სიმულაციური თამაში განათლებაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა (EaP) და რუსეთში“ ფარგლებში. პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდისა და კრეატიული განვითარების ცენტრის თანამშრომლობით.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG
www.fes-caucasus.org

Creative Development Center
www.cdc.org.ge

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

Creative Development Center

© Friedrich-Ebert-Stiftung

ეს პუბლიკაცია დაიბეჭდა “ფრიდრიხ ებერტის ფონდის” მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს “ფრიდრიხ ებერტის ფონდის” მოსაზრებებს.

“ფრიდრიხ ებერტის ფონდის” (FES) მიერ მხარდაჭერილი ნებისმიერი პუბლიკაციის კომერციული მიზნებით გამოყენება იკრძალება ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-0-9387-6

სიმულაციური თამაში განათლების თემაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა (EaP) და რუსეთში

ეს სახელმძღვანელო შეიქმნა პროექტ „სიმულაციური თამაში განათლებაზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა (EaP) და რუსეთში“ ფარგლებში. პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის და კრეატიული განვითარების ცენტრის (CDC) თანამშრომლობით.

შესავალი

პროექტის „სიმულაციური თამაში განათლებაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა (EaP) და რუსეთში“ მიზანი იყო სოციალური სამართლიანობის, თანასწორი შესაძლებლობების და ასევე განათლების სისტემაში საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობის იდეის მხარდაჭერა. პროექტი მიზნად ისახავდა, ცნობიერების ამაღლებით საზოგადოებაში ინკლუზიური განვითარების პოპულარიზაციას და ისეთი ცვლილებების მხარდაჭერას, როგორიცაა განათლების ხელმისაწვდომობა და თანასწორი შესაძლებლობების შექმნა. ამასთანავე, ეს თამაში წარმოადგენს საფუძველს, საერთო წარსულის მქონე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და რუსეთს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების განსახილველად. ეს პროექტი იყო ინოვაციური კონცეფცია, განათლების სისტემის თავისებურებების წარმოსაჩენად იმ ქვეყნებში, რომლებმაც ძალიან რთული გარდამავალი პერიოდი განვლეს და ცდილობენ, განვითარების ახალ საფეხურს მიაღწიონ. ამასთანავე, თამაშის ფორმატიდან გამომდინარე, მონაწილეებს მიეცათ მოლაპარაკების უნარების გაუმჯობესების შესაძლებლობა. პროექტში მონაწილეობდნენ ახალგაზრდები შვიდივე ქვეყნიდან. შესაბამისად, ის წარმოადგენდა არსებული მდგომარეობის შეფასების მექანიზმს და ახალგაზრდულ პლატფორმას, რეგიონის მომავალი ლიდერებისათვის საერთო სამოქმედო სივრცის შესაქმნელად.

პროექტი ერთობლივად განახორციელეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) რეგიონალურმა ოფისიმა „დიალოგი აღმოსავლეთ ევროპაში“, ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის

რეგიონალურმა ოფისმა და კრეატიული განვითარების ცენტრმა (CDC).

ფრიდრიხ ებერტის ფონდი (FES) არის გერმანული არაკომერციული პოლიტიკური ფონდი, რომელიც სოციალური დემოკრატიის ღირებულებებს იზიარებს. ის დაარსდა 1925 წელს და ატარებს გერმანიის პირველი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის, ფრიდრიხ ებერტის სახელს. ამჟამად, FES ასზე მეტ ქვეყანაში ატარებს ღონისძიებებს დემოკრატიის, დიალოგისა და სოციალური სამართლიანობის მხარდასაჭერად.

FES-ის ახლადდაარსებული რეგიონალური ოფისი „დიალოგი აღმოსავლეთ ევროპაში“ მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ურთიერთგაგება და თანამშრომლობა აზერბაიჯანს, ბელარუსს, საქართველოს, სომხეთს, მოლდოვას, რუსეთსა და უკრაინას შორის. ოფისის მიზანია ასევე, ხელი შეუწყოს ამ ქვეყნების დიალოგს გერმანიასთან და ევროკავშირთან.

FES-ის სამხრეთ კავკასიის ოფისი უკვე 20 წელზე მეტია ამ რეგიონში მუშაობს და მიზნად ისახავს დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობის, ასევე განათლებისა და კვლევის მხარდაჭრას. ფონდი ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და ემხრობა პლურალიზმის იდეას პოლიტიკაში, რაც გულისხმობს სხვადასხვა აქტორების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. ამასთანავე, ფონდი ხელს უწყობს საერთაშორისო და რეგიონალურ დიალოგს მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის.

კრეატიული განვითარების ცენტრი (CDC) დაფუძნდა 2014 წლის თებერვალში როგორც უკვე არსებული საინიციატივო ჯგუფის მუშაობის შემდგომი ეტაპი. საინიციატივო ჯგუფს

არაერთი პროექტი ჰქონდა განხორციელებული საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში დაწყებული 2009 წლიდან. ორგანიზაციამ შექმნა 3 მთავარი სამუშაო მიმართულება, ესენია:

ახალგაზრდების გაძლიერება

მშვიდობის მხარდაჭერა და კონფლიქტების მართვა

სოციალური მეწარმეობა და სოციალური ინოვაციები

CDC-ს თანამშრომლებს აქვთ კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ადამიანებთან და რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან მუშაობის გამოცდილება, ისეთი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა სოციალური ხელოვნება, სიმულაციური თამაშები, ფორუმ თეატრი. ჩვენ ასევე აქტიურად ვიყენებთ მენტორინგის კონცეფციას ახალგაზრდებისა და იმ სტუდენტების მხარდასაჭერად, რომლებსაც უჭირთ შრომის ბაზარზე მოხვედრა.

ჩვენ გვაქვს მუშაობის გამოცდილება მონაწილეებთან სხვადასხვა კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებიდან, როგორებიცაა აღმოსავლეთ ევროპა, შუა აღმოსავლეთი, კავკასია და რუსეთი. ძირითადად, შეგვიძლია გამოვყოთ 2 მთავარი მიზნობრივი ჯგუფი:

ახალგაზრდები 7-დან 25 წლამდე - ჩვენ ვმუშაობთ უშუალოდ ახალგაზრდებთან და ვიყენებთ ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდებს;

უფროსი ასაკის ბენეფიციარები - მულტიპლიკატორები, რომლებიც ძირითადად მუშაობენ ახალგაზრდებთან და კონფლიქტით დაზარალებულ თემებთან. ჩვენ მათ ვაძლევთ საშუალებას მიიღონ ახალი ცოდნა და დაეუფლონ ინოვაციურ მეთოდებს, როგორც წესი, ეს მეთოდია სიმულაციური თამაშები

და არაფორმალური განათლების სხვა მიდგომები. ჩვენ ასევე ვმუშაობთ ტრენერებისათვის ტრენინგების პროგრამების შექმნაზე სხვადასხვა მიმართულებებით - ეს შეიძლება იყოს ზოგადი ან თემატური ტრენინგი. მხოლოდ 2015 წელს 100-მდე ტრენერი მონაწილეობდა ჩვენ გრძელვადიან პროგრამებში კავკასიაში, უკრაინაში, თურქეთსა და ევროკავშირის ქვეყნებში.

სარჩევი

1. რა არის სიმულაციური თამაში?..... 7

2. თამაშის სტრუქტურა 11

3. სცენარი - განათლების კრიზისი ედნოვიაში.... 13

3.1 სიმულაციური თამაშის როლები..... 23

3.2 წესები და პროცედურები 92

3.3 განრიგი 94

3.4 შემოთავაზებები და პეტიციები 100

4. სიმულაციური თამაშის ფასილიტაცია 107

1. რა არის სიმულაციური თამაში?

სიმულაციური თამაში არის კომპლექსური სატრენინგო მეთოდი, რომელიც რეალური ცხოვრებისეული სიტუაციის ერთგვარი უტრირებაა და ასახავს ქმედების პოტენციურ შედეგებს. რეალური სიტუაციების სიმულირებისათვის ის მოიცავს როლურ თამაშებს, პრაქტიკული შემთხვევების განხილვას და სოციოდრამატულ გარემოებებს. უმრავლეს შემთხვევაში, სიმულაციური თამაში გამოიყენება, მოთამაშეებს/მონაწილეებს შორის გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებისათვის მათთვის რეალობის მოდელის მიწოდებით. ეს მოდელი აძლევს მონაწილეს შესაძლებლობას, შექმნას გარკვეული დინამიკა, რომელიც ასახავს მის ინტერესს ისეთი ფორმებით, როგორიცაა კონკურენცია, წარმატებისაკენ სწრაფვა და გამარჯვების სურვილი. ქვემოთ მოცემულია სიმულაციური თამაშის რამდენიმე აკადემიური განსაზღვრება:

სიმულაციური თამაში არის

> „შედარებით ღია პოლიტიკური ან ეკონომიკური [ან სოციალური] პრობლემური სიტუაცია, რომელიც არის საგანმანათლებლო-დიდაქტიკური, გამარტივებული და მოითხოვს გადაწყვეტას“;

> „დიდაქტიკური მეთოდი/აქტივობა, რომელშიც ბევრი მონაწილე იყოფა სხვადასხვა ჯგუფად და ურთიერთქმედებს მოცემულ როლებში და სხვადასხვა სცენებში.“

სიმულაციური თამაშები იძლევა შესაძლებლობას, მონაწილემ რისკისგან თავისუფალ გარემოში გამოსცადოს კომუნიკაციისა და ორგანიზაციული მუშაობის უნარები. თამაშები ასევე ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებას, რადგან

მონაწილეები გარკვეული მიზნების მიღწევაზე მუშაობენ. ფართო გაგებით, სიმულაციური თამაში იძლევა პოლიტიკური მოლაპარაკებების წარმოების, შესრულებისა და ოპტიმირების შესაძლებლობას. სიმულაციური მეთოდები აძლევს მონაწილეებს სივრცეს თანამშრომლობისათვის მძიმე შეცდომების დაშვების შიშის გარეშე. სიმულაციური თამაშები ემყარება პრინციპს: „ისწავლე კეთების პროცესში“. (Learning By doing)

არსებობს სიმულაციური თამაშის სამი მთავარი ელემენტი:

1. სიმულაცია = რეალობის მოდელი → კონსტრუირებული და გამარტივებული; ვერ იქნება სრულიად ობიექტური.

2. როლური თამაში → მონაწილე აქტიურია და გავლენას ახდენს თამაშის დინამიკის განვითარებაზე.

3. წესები → მონაწილეებს შორის ურთიერთქმედება კონკრეტული გზებით რეგულირდება, მაგალითად:

- მონაწილეებს მხოლოდ ინტერესთა ჯგუფებში ან მრგვალ მაგიდასთან შეხვედრა შეუძლიათ

- მონაწილეებმა უნდა გამოიყენონ სპეციალური სამოქმედო ბარათები, რათა მიმართონ ერთმანეთს

- მონაწილეებმა უნდა მოამზადონ პრეს-რელიზები, რათა დაამყარონ კავშირი სხვა აქტორებთან პრესის გუნდის დახმარებით.

სიმულაციური თამაშების შექმნისას, უმნიშვნელოვანესია სასწავლო მიზნების დასახვა.

სასწავლო მიზნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

სასწავლო მიზნები:

- როლური თამაშის დახმარებით უცნობ ადამიანებთან/ჯგუფებთან კონტაქტის დამყარება
- ახალი პერსპექტივის გააზრებით, საკუთარ მოსაზრებებზე დაფიქრება
- თანაგრძნობის გაზრდა
- მოტივაციის გაზრდა, სიმულირებული რეალობის (ინსტიტუტების/კონფლიქტების) უკეთესად გაგება
- აქტორების უკეთესად გაგება
- ახალი სტრატეგიების დასახვა და გამოცდა დაცულ გარემოში
- მოლაპარაკების უნარების განვითარება
- ეფექტიანი მუშაობა გუნდში
- საკუთარი თავის უფრო ღრმა რეფლექსია (როგორ მუშაობ სტრესულ სიტუაციაში/როგორ უმკლავდები კონფლიქტებს/როგორ აბალანსებ შენ როლს და პირად მოსაზრებებს)

სიმულაციურ თამაშზე მუშაობისას მნიშვნელოვანია, გეგმის გამოყენება, რათა რაიმე დეტალი არ გამოგრჩეთ. გეგმა გეხმარებათ, გასცეთ პასუხი შემდეგ კითხვებს:

1. თამაშის ან სემინარის ზოგადი თემა/შინაარსი: რა არის მთავარი თემა?

2. სასწავლო მიზნების განსაზღვრა: რა დანიშნულება აქვს თამაშს? რა უნდა ისწავლონ მონაწილეებმა?
3. პრობლემური სიტუაცია: რა მომენტში იწყება თამაში?
4. გარემო: რა პირობებში ცდილობენ მონაწილეები პრობლემური სიტუაციის მოგვარებას? რაზე კეთდება მთავარი აქცენტი თამაშში?[1]

[1] Training Manual, Simulation Games for Transition, 2013. CRISP e.V

2. თამაშის სტრუქტურა

თამაშის სცენარიდან გამომდინარე, ფასილიტატორებმა უნდა შექმნან თამაშის სტრუქტურა და გასცენ პასუცი შეკითხვას: როგორ ჩატარდება სიმულაცია პრაქტიკაში? სტრატეგიული დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია, მონაწილეებისათვის განისაზღვროს დროის მონაკვეთები. მაგალითად: რამდენ ხანს გრძელდება კონფერენცია? რა დრო ექნებათ მონაწილეებს მოლაპარაკებებისათვის? შესაძლო სტრუქტურა შეიძლება იყოს:

i. დაგეგმვის ფაზა

ii. მცირე ჯგუფებში მუშაობა

iii. თავისუფალი მოლაპარაკებები 1

iv. სადილი

v. თავისუფალი მოლაპარაკებები 2

vi. თავისუფალი მოლაპარაკებები 3

vii. საბოლოო კონფერენცია

ზოგიერთ სიმულაციურ თამაშს განსაკუთრებული გარემო სჭირდება. ამიტომ ფასილიტატორმა სიმულაციის ჩატარებამდე უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

- *ფორმალური თუ არაფორმალური:* მონაწილეებისათვის როლში შესვლის გასამარტივებლად, გარემო უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ სცენარს.

მაგალითად: სიმულაცია უსაფრთხოების საბჭოს თემატიკაზე - კონფერენცია

საჭირო გარემო: მაგიდების მოწყობა, მაგიდებზე დროშების განლაგება, წყლის ბოთლები, სამაგრები სახელებით და წარმოდგენილი ქვეყნებით და ა.შ.

- *ოთახების რაოდენობა (აქტორების ზოგიერთ ან ყველა ჯგუფს უნდა ჰქონდეს პირადი ოთახი):* ეს განსაკუთრებით რეკომენდებულია იმ შემთხვევებში, თუკი თქვენ გყავთ პრესის ჯგუფი სიმულაციაში.

- *შესაფერისი სივრცე (ღია სივრცე)* განსაკუთრებით სიმულაციური თამაშებისთვის, რომლებშიც ბევრი არაფორმალური მოლაპარაკებაა, მნიშვნელოვანია შესაფერისი ფიზიკური სივრცის შეთავაზება მონაწილეებისათვის, სადაც ისინი შეძლებენ პირადი და ფარული მოლაპარაკებების წარმოებას.[2]

[2] Training Manual, Simulation Games for Transition, 2013. CRISP e.V

3. სცენარი - განათლების კრიზისი ედნოვიაში

მთავარი მიზანი:

შექმნილი კრიზისიდან ოპტიმალური გამოსავლის პოვნა

ზოგადი ინფორმაცია:

ედნოვია უნიტარული საპარლამენტო რესპუბლიკაა 14-მილიონიანი მოსახლეობით. ედნოვიის მთავრობა ემყარება ნახევრად საპრეზიდენტო წარმომადგენლობით დემოკრატიას. ამჟამად მას მართავს ლიბერალური პარტია. ედნოვიაში რამდენიმე თანამედროვე ქალაქია, მაგრამ ქვეყნის დანარჩენი ნაწილი საკმაოდ ღარიბია და განიცდის განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობას ახალგაზრდებისათვის. განათლების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ნაწილისათვის, წარმოადგენს ქვეყნის უმწვავეს პრობლემას. მთავრობა მხოლოდ მინიმალური დონით იჩენს სოციალურ პასუხისმგებლობას მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ, განსაკუთრებით, როდესაც საქმე განათლებას ეხება. სწავლის მაღალი გადასახადი, სასწავლო მასალების სიძვირე და ის ფაქტი, რომ ბევრი ახალგაზრდა, სწავლის პარალელურად ვერ ახერხებს ოჯახისათვის ფინანსური შემოსავლის მოძიებას (მუშაობას), წარმოქმნის გარემოს, სადაც ახალგაზრდებს შეძლებული ოჯახებიდან ექმნებათ პრივილეგირებული პირობები განათლების მისაღებად. ედნოვიის არსებული განათლების სისტემა ქმნის უთანასწორობისა და უსამართლობის ჩაკეტილ წრეს, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფად დაყოფის შედეგია.

ამასთანავე, ქვეყნიდან ხდება „ტვინების გადინება“; ბევრი კარგი განათლების მქონე ახალგაზრდა მიდის საზღვარგარეთ. რადგან შესაფერისი სამუშაოს პოვნა სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ისინი ტოვებენ ქვეყანას, პოულობენ კარგ სამსახურს და ფუძნდებიან საზღვარგარეთ.

ედნოვიის ისტორია: ადრე ედნოვია უფრო დიდი და მდიდარი იყო, მაგრამ 1974 წელს შიდა კონფლიქტების გამო მოხდა სახელმწიფოს დეზინტეგრაცია და ის ჩაერთო სამოქალაქო ომში, რომელიც 20 წელზე მეტხანს გრძელდებოდა. ამან გამოიწვია ის, რომ ედნოვია განვითარების დონით ჩამორჩა სხვა სახელმწიფოებს და მუდმივად იმყოფება ეკონომიკურ კრიზისში. აქედან გამომდიანრე, თანხების განათლების სისტემის რეფორმაში ინვესტირება სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევაა. ქვეყნის დაშლამდე, განათლების სისტემა უფრო ეფექტიანი იყო, მაგრამ სტანდარტები მკვეთრად გაუარესდა; ამასთანავე შესუსტდა სისტემის როლი თანაბარი შესაძლებლობების წახალისებაში. წარმოიშვა ახალი პარადიგმა, როდესაც განათლებაზე პასუხისმგებლობა ნაკლებად განიხილება, როგორც საზოგადოებრივი სფეროს ნაწილი და უფრო პირადი საზრუნავია. დაფინანსება შეიკვეცა რის გამოც უფრო დიდი ტვირთი დააწვა მოსახლეობის პირად შემოსავალს.

ეკონომიკური მდგომარეობა: ედნოვიის ეკონომიკა წარმოადგენს ფორმირებად თავისუფალ ბაზარს, რომელიც ამჟამად ხანგრძლივ კრიზისში იმყოფება. წამყვანი ინდუსტრიებია: სამთამადნო საქმე, ელექტრო ენერგიის წარმოება და სოფლის მეურნეობა. ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრია ინფორმაციული ტექნოლოგიებია. ფისკალური შემოსავლები, რომლებიც დიდწილად გადასახადებიდან მიიღება,

არსებული ხანგრძლივი რეცესიის გამო მუდმივად დაბალია.

შეზღუდული ფინანსების გამო, ზოგი ახალგაზრდა საერთოდ ვერ ახერხებს განათლების მიღებას. მთავრობა არსებულ განათლების პოლიტიკას ასაბუთებს ეკონომიკური პრობლემებით და იმ ფაქტით, რომ ფინანსური მხარდაჭერის ზრდა უმაღლესი განათლების სფეროში არ წარმოადგენს ამ ეტაპზე პრიორიტეტს. მთავრობა აცხადებს, რომ უმაღლესი განათლებისთვის დაფინანსების მოპოვება თავად სტუდენტების პასუხისმგებლობას წარმოადგენს, რადგან თავად ისინი მიიღებენ აქედან სარგებელს. ამიტომაც, ბევრი ახალგაზრდა ვერ აბარებს უნივერსიტეტში და რჩება უმაღლესი განათლების გარეშე. ამასთანავე, ბევრი ისეთი ადამიანი, ვინც იღებს უმაღლეს განათლებას, შემდგომში ვერ პოულობს სამსახურს, რადგან არსებობს სამუშაოს ნაკლებობის პრობლემა კვალიფიცირებული მუშახელისათვის და ამასთანავე უნივერსიტეტები ხშირად ვერ ამზადებენ სტუდენტებს საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად. ედნოვიაში განათლების სისტემა, თეორიულ ცოდნაზეა ორიენტირებული და ბევრ კურსდამთვრებულს უჭირს თეორიის პრაქტიკაში განხორციელება.

პოლიტიკური მდგომარეობა: შემდეგი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება ექვს თვეში. ამ მიზეზით, მთავრობა შიშობს, რომ ქვეყანაში განვითარდება მასშტაბური მოვლენები (მაგ., საპროტესტო აქციები რეფორმების მოთხოვნით). ამასთანავე, მთავრობას არ სურს სტუდენტების ხმების დაკარგვა, ამიტომაც, გეგმავს აწარმოოს სტუდენტებთან მოლაპარაკებები. არჩევნების წინ, მთავრობას ნაკლებად აწყობს ქაოტური შიდა გარემოს შექმნა. ოპოზიცია სტუდენტებს ემხრობა, მხარს უჭერს მასშტაბურ რეფორმებს და შესაბამისად, იმედოვნებს, რომ არჩევნების შედეგად ძალაუფლების მოიპოვებს.

სიტუაცია

<u>**განათლების სისტემა:**</u> ედნოვიის განათლების სისტემაში ახალგაზრდობის ძალიან დიდი ნაწილისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს, განათლების ხელმისაწვდომობა. მთავრობა განიხილავს უმაღლეს განათლებას, როგორც კერძო სფეროს შემადგენელ ნაწილს, ამიტომ სახელმწიფო დაფინანსება კვლავინდებურად მწირია. აქედან გამომდინარე, საუნივერსიტეტო განათლების ხარისხი დაბალია და განიცდის აღჭურვილობისა და მასალების ნაკლებობას, მაშინ როდესაც სტუდენტებს მაღალი სასწავლო გადასახადის გადახდა უწევთ საუნივერსიტეტო განათლებისთვის. საშუალო სასწავლო გადასახადი ორჯერ აღემატება ოჯახის საშუალო შემოსავალს ედნოვიაში. სტუდენტების 85% აღებული აქვს სესხი ბანკიდან ან სხვა საკრედიტო ინსტიტუტიდან, ხოლო ბევრი სხვა ახალგაზრდა საერთოდ ვერ ახერხებს განათლების მიღებას. ამასთან ერთად, უნივერსიტეტის მცირე დაფინანსების გამოყენებაც ხდება ირაციონალურად და არასათანადოდ. ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, სახელმწიფო აცხადებს, რომ ედნოვიას არ აქვს ფინანსური რესურსი, რათა გაატაროს განათლების სისტემის მნიშვნელოვანი და კონსტრუქციული რეფორმა. მთავრობა მეტ ყურადღებას უთმობს ეკონომიკურ საკითხებს, რადგან განათლების სფერო აქამდე არ ყოფილა პრიორიტეტული.

გამჭვირვალე და სანდრო ადმინისტრაციის შექმნა ასევე ერთ-ერთი რთული საკითხია, რომლის წინაშეც დგას უნივერსიტეტი. განათლების სისტემა მოძველებულია და მისი განახლება წლების მანძილზე არ მომხდარა. ლექტორებს აკლიათ საჭირო მეთოდოლოგიური მომზადება და არსებობს კორუფციის მრავალი

შემთხვევა თითქმის ყველა უნივერსიტეტში. ამასთან ერთად, სტუდენტური თვითმმართველობის არსებული სისტემა ვერ ახერხებს სტუდენტების უფლებების დაცვას და მისი წევრები ხშირად პირადი ინტერესებისათვის ბოროტად იყენებენ ძალაუფლებას. ამგვარი დისკრედიტირებული სტატუსის გამო, თვითმმართველობას არ აქვს ლეგიტიმაცია. სტუდენტების უმრავლესობას არ სურს, რომ თვითმმართველობა წარმოადგენდეს მათ ხმას. ამავე დროს, მოძველებული ინსტიტუციური მოწყობა უნივერსიტეტებში, ხელს უშლის თანამედროვე სტანდარტებისა და მიდგომების დანერგვას.

ამ მიზეზებით, ედნოვიაში ახალი სასწავლო სემესტრი დაიწყო სტუდენტური პროტესტით სახელმწიფო უნივერსიტეტებში კორუფციის წინააღმდეგ. პროტესტი მცირე მასშტაბებით დაიწყო; სტუდენტები მოითხოვდნენ თანასწორობას საუნივერსიტეტო დონეზე და შეზღუდული რესურსების რაციონალურ გამოყენებას. მედიის მიერ მოვლენების აქტიურმა გაშუქებამ და სამოქალაქო აქტივისტების მხარდაჭერამ საზოგადოების ყურადღება მიაპყრო ამ საკითხებზე. მიუხედავად ამისა, მთავრობის წარმომადგენლებს არ სურთ განათლების სისტემის მნიშვნელოვანი რეფორმირებისთვის რესურსების გადანაწილებაზე მოლაპარაკების წარმოება. თუმცა, მას შემდეგ რაც პროტესტი გამწვავდა, რადგან არჩევნები უკვე ახლოვდება, მთავრობამ გამოთქვა მზაობა, ესაუბროს სტუდენტებს. მაგრამ დამატებითი ფინანსური რესურსის ჩადებისათვის, უმაღლეს განათლებაში, საჭიროა სხვა სექტორებში ნაკლები თანხის ინვესტირება, ამიტომ მთავრობა ცდილობს, პროტესტის ჩასაცხრომად იპოვოს განსხვავებული გზები.

საპროტესტო აქციები თავდაპირველად გამოიწვია უნივერსიტეტში მომხდარმა შემთხვევამ: რამდენიმე კვირის წინ, სტუდენტურმა თვითმმართველობამ ედნოვიის სახელმწიფო

უნივერსიტეტში, წვეულების მოსაწყობად საკმაოდ დიდი თანხა დახარჯა საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან, რომელზეც მხოლოდ ელიტარულ წრეებს მიკუთვნებული სტუდენტები დაპატიჟეს. სტუდენტებმა წამოიწყეს დემონსტრაციები, რათა გამოეხატათ უარყოფითი დამოკიდებულება მომხდარისადმი და ასევე ზოგადი უკმაყოფილებაც განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის მიმართ.

<u>სტუდენტები მოითხოვდნენ</u> თანასწორობას და მხარს უჭერდნენ **განათლების, როგორც ადამიანის უფლების** იდეას. გამომდინარე იქიდან, რომ სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებსაც მსგავსი გამოცდილება აქვთ საკუთარ სასწავლებლებში, ისინიც შეუერთდნენ პროტესტს შემდეგი კვირების განმავლობაში და მოაწყვეს მსხვილმასშტაბიანი საერთო დემონსტრაცია. თავიდან, სტუდენტები მთავარ აქცენტს აკეთებდნენ ტექნიკურ და ადმინისტრაციულ საკითხებზე, მაგრამ მოთხოვნებმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო, გამოიკვეთა ისეთი საკითხები როგორიცაა: განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხის გაუმჯობესება. ბევრ ახალგაზრდას აწუხებს ის, რომ განათლება არ წარმოადგენს უმაღლეს პრიორიტეტს სახელმწიფოსთვის და კანონმდებლობის დონეზე ცვლილებების მოხდენა რთული იქნება. სტუდენტების მთავარი მოთხოვნაა, რომ უმაღლესი განათლება გახდეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უფასო ან დაწესდეს მინიმალური გადასახადი, ამჟამად გადასახადი ძალიან მაღალია.

<u>**უნივერსიტეტი:**</u> ედნოვია ბოლონიის პროცესის მონაწილეა. მასში მოქმედებს 27 სახელმწიფო უნივერსიტეტი (რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს), სადაც დაახლოებით 270 000 სტუდენტი სწავლობს ამჟამად.

სახელმწიფო მხარს უჭერს უნივერსიტეტებს წელიწადში გარკვეული მოცულობის თანხის გამოყოფით, მაგრამ ეს თანხა ძალიან მცირია ხარჯების სრული დაფარვისთვის. ამიტომ უნივერსიტეტებს უხდებათ, მოითხოვონ მაღალი გადასახადი სტუდენტებისგან, რომელსაც ბევრი მათგანი და მათი ოჯახები ვერ იხდიან. საშუალო წლიური გადასახადი უფრო მაღალია, ვიდრე ტიპიური ოჯახის საშუალო შემოსავალი ედნოვიაში. ამის გამო სტუდნეტების უმრავლესობას უხდება საბანკო სესხის აღება და შედეგად პროფესიული საქმიანობის დაწყებამდე მათ უკვე დაგროვილი აქვთ ვალი. არ არსებობს საერთო საცხოვრებლები, რაც დაბრკოლებაა რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის. ამასთანავე, ქვეყანაში არის ძალიან ცოტა სამუშაო ადგილი.

სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჭარბობს თეორიული განათლება; კონკრეტული მიმართულებებით თითქმის არ არის შემუშავებული პრაქტიკული მიდგომები. უნივერსიტეტებს აქვთ კარგი გაცვლითი პროგრამები, მაგრამ ადგილების რაოდენობა ძალიან შეზღუდულია და მხოლოდ რამდენიმე სტუდენტს ეძლევა მონაწილეობის შესაძლებლობა. სახელმწიფო უნივერსიტეტებში უპირატესობას ანიჭებენ განათლების ტრადიციულ, კონსერვატიულ მიდგომებს. უნივერსიტეტის ლექტორთა უმრავლესობა არ არის მზად განაახლოს სწავლების მეთოდები. სტუდენტები გამოთქვამენ უკმაყოფილებას და ამბობენ, რომ ეს მათთვის წარმოადგენს დაბრკოლებას კრიტიკული აზროვნებისა და პროფესიული უნარების განვითარებისთვის. უნივერსიტეტის მოძველებული ადმინისტრაციული სისტემა, ჯერაც მხარს უჭერს გასული საუკუნის მიდგომებს, მეთოდოლოგიას, სასწავლო პროგრამასა და მასალებს.

ყველა უნივერსიტეტს ყავს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც მჭირდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის

ადმინისტრაციასთან და ტრადიციულად, ძალიან დაახლოებულია მთავრობასთან. ის არ ემსახურება საზოგადოებრივ ან საგანმანათლებლო მიზნებს და როგორც წესი, წარმოადგენს მექანიზმს, რომელსაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და მთავრობის წარმომადგენლები იყენებენ სტუდენტების გასაკონტროლებლად. სტუდენტურ თვითმმართველობაში ჩართულობა, როგორც წესი, ნიშნავს უპირატესობას სამსახურის ძიებიასას სახელმწიფო დაწესებულებებში. მეტიც, სტუდენტურ თვითმმართველობებს ხშირად იწვევენ სამთავრობო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

<u>სტუდენტური მოძრაობა:</u> სტუდენტები უკმაყოფილონი არიან არსებული მდგომარეობით და ამიტომ შექმნეს სტუდენტური მოძრაობა, რათა გააპროტესტონ სისტემა. აქამდეც, ისინი დიდი ხნის მანძილზე გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, მაგრამ მათ იდეებს არც წინა და არც ახლანდელი მთავრობა არ ითვალისწინებდა. ამასთანავე, წინა საპროტესტო მოძრაობები საკმაოდ სუსტი იყო, ხოლო ახალი მოძრაობა აერთიანებს სტუდენტთა უმრავლესობას.

პირველად ედნოვიის ისტორიაში სტუდენტებმა მოახერხეს გაერთიანება და მსხვილმასშტაბიანი პროტესტის წამოწყება. ათასობით სტუდენტი გამოვიდა ქუჩებში და მართავს დემონსტრაციას განათლების სამინისტროს წინ. მათი სლოგანია: „ყველასათვის თანასწორი განათლება“. მთავარი მოტივი მათი მოთხოვნების მიღმა არის იდეა, რომ განათლება ადამიანის უფლებაა და უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი. ისინი მოითხოვენ **სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანას** და უფასო ან ნაწილობრივ ფასიანი სახელმწიფო განათლების სისტემის შექმნას. სტუდენტებმა

მოითხოვეს შეხვედრა გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ პირთან, რათა ისაუბრონ შესაძლო რეფორმებზე. სტუდენტების განცხადებით, თუკი რეფორმები არ გატარდება, ისინი გაზრდიან პროტესტის მასშტაბებს და ჩაშლიან ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებას ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სტუდენტური მოძრაობის მოთხოვნები

ხელი შეეწყოს განათლების მიღებაზე თანასწორ ხელმისაწვდომობას სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკაში/კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანით და შეიქმნას უფასო ან ნაწილობრივ დაფინანსებული განათლების მექანიზმი;

ხელი შეეწყოს განათლების ხელმისაწვდომობას, განათლების პოლიტიკის სუბსიდირებით, რაც ნიშნავს უფასო ან მინიმალური გადასახადის მქონე განათლების შესაძლებლობებს;

შეიქმნას სტიპენდიებისა და სტუდენტური სესხის გაცემის სისტემა, რომელიც მთავრობის მიერ იქნება სუბსიდირებული;

გაიზარდოს ხარჯვის ეფექტიანობა, ფინანსების ეფექტიანი გადანაწილებით, რაც ნიშნავს მეტ ინვესტიციას განათლების სისტემაში და მთავრობის მიერ საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის უკეთეს გააზრებას;

აღმოიფხვრას კორუფცია უნივერსიტეტის

ადმინისტრაციაში. დამყარდეს უფრო დემოკრატიული პრინციპები უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, ასევე გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ამ პროცესებში; მოხდეს სტუდენტური თვითმმართველობის სისტემის რეფორმირება;

გაუმჯობესდეს განათლების ხარისხი სილაბუსების განახლებით და თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვით, ასევე ბიბლიოთეკები აღიჭურვოს ედნოვიურ ენაზე არსებული ლიტერატურით;

3.1 სიმულაციური თამაშის როლები

სახელი: ჯონათან ქემფბელი

სტატუსი: განათლების მინისტრი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ დაიბადეთ ედნოვიის პატარა სოფელში და მცირე ასაკიდანვე ცდილობდით, ბევრი გესწავლათ და წარმატებისათვის მიგეღწიათ. თქვენ სწავლობდით ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში და თქვენ აღფრთოვანებას ყოველთვის იწვევდნენ პოლიტიკაში მოღვაწე ადამიანები. თქვენ შეიძინეთ ბევრი ნაცნობი, არაერთი პრაქტიკის გავლით სახელმწიფო სტრუქტურებში და საბოლოოდ, შეუერთდით პოლიტიკურ პარტიას. პარტიაში თქვენი მცდელობა და მუშაობა დააფასეს და ახლახან დაგნიშნეს განათლების მინისტრად. თქვენ წარმოადგენთ პარტიას „ძლიერი ედნოვია“ და მიუხედავად იმისა, რომ კოალიციური მთავრობის წევრი ხართ, თქვენი პარტია ყველაზე დიდი რაოდენობის მანდატებს ფლობს. თქვენ მხარს უჭერთ ძლიერ, ავტორიტეტულ მთავრობას და გჯერათ, რომ სტუდენტები უნდა იზიარებდნენ არსებულ ნორმებს სკოლასა და საზოგადოებაში და პატივს სცემდნენ უმაღლესი განათლების იერარქიულ მოდელს. თქვენ ძალიან გაგაკვირვათ სტუდენტური საპროტესტო მოძრაობის ამგვარმა გაძლიერებამ და საზოგადოების სხვადასხვა წევრების მხრიდან პროტესტის მხარდაჭერამ.

მიზნები:

გამომდინარე იქიდან, რომ თქვენ ახლახან დაინიშნეთ განათლების მინისტრად, არ გსურთ სისტემის რადიკალურად შეცვლა, მითუმეტეს მომავალი საპარლამენტო არჩევნების გათვალისწინებით. ამასთანავე, თქვენ აცნობიერებთ, რომ ხართ სამთავრობო კოალიციის ნაწილი, სადაც განსხვავებული იდეოლოგიის მატარებელი პარტიებია წარმოდგენილი და გესმით, რომ თითქმის შეუძლებელი იქნება მთავრობაში განათლების რეფორმის საკითხთან დაკავშირებით საერთო აზრზე შეთანხმება. თქვენ პოზიციას ასევე განაპირობებს სტუდენტების მემარცხენე მოთხოვნები უფასო, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი განათლების შესახებ. ეს არ შეესაბამება თქვენ იდეოლოგიურ ღირებულებებს და არ თვლით, რომ სწავლის გადასახადზე ზრუნვა მთავრობის პასუხისმგებლობაა.

მნიშვნელოვანი პუნქტია ის, რომ თქვენს თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებულ გარიგების ნაწილში, თქვენმა პარტიამ თანხმობა განაცხადა, ეხელმძღვანელა არსებული ბიუჯეტით განათლების სფეროში და სანამ მთავრობას ექნება სხვა პრიორიტეტები, ის არ გადაანაწილებს ფინანსებს სხვაგვარად. თუმცა დილემა იმაში მდგომარეობს, რომ მომავალი არჩევნები თითქმის მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოაგვარებთ არსებულ კრიზისს განათლების სფეროში.

მეორე მხრივ, ფინანსთა სამინისტროსთან უნდა მიაღწიოთ შეთანხმებას, რათა მეტი ფული გამოიყოს განათლების სამინისტროსთვის; ეს ნიშნავს ბიუჯეტის შემცირებას სხვა სექტორებისთვის. თქვენ გესმით, რომ პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგათ, იმისათვის, რომ სტუდენტების ხმები მოიპოვოთ; თქვენ უნდა ეცადოთ, ყველა მონაწილე მხარესთან მოლაპარაკებას, რადგან მათი ხმები არჩევნებში

გჭირდებათ. სხვაგვარად, დიდი ალბათობით სამსახურს დაკარგავთ.

თქვენი მიზანია, ჩაერთოთ დისკუსიაში ყველა დაინტერესებულ მხარესთან, აჩვენოთ სტუდენტებს, რომ შედიხართ მათ მდგომარეობაში და მზად ხართ ცვლილებებისთვის; დაარწმუნოთ რექტორატი, რომ თქვენ მათ პოზიციას ემხრობით; გადაავადოთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არჩევნების შემდგომ პერიოდამდე.

სახელი: ამანდა პაული

სტატუსი: შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ შრომისა და სოციალური დაცვის ცნობილი და აღიარებული მინისტრი. დაამთავრეთ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციისგან მიიღეთ შემოთავაზება, გადაწყვიტეთ თქვენ ქვეყანაში დაბრუნება და დათანხმდით სამუშაოს მთავრობაში. თქვენ წარმოადგენთ სიდიდით მეორე პარტიას („დემოკრატიული პარტია“) კოალიციურ მთავრობაში. პარტია, მხარს უჭერს, საყოველთაო უფლებას ხარისხიანი განათლების მიღებაზე, განურჩევლად ეკონომიკური კეთილდღეობის დონისა. თქვენ შეუერთდით მთავრობას და დათანხდით ამ პოზიციას, რადგან გჯერათ, რომ განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების უფლება მნიშვნელოვანია პირადი შესაძლებლობების ქონისთვის ცხოვრებაში და თუ კი ყველას შეეძლება ხარისხიანი განათლების მიღება და საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, მაშინ ეს სამუშაო ძალის პროდუქტიულობასაც გაზრდის და შედეგად, ეკონომიკის გაძლიერებაში შეიტანს წვლილს. თქვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის როლში, გაატარეთ რიგი საჭირო რეფორმებისა და მოიპოვეთ მოსახლეობის უმრავლესობის პატივისცემა და მხარდაჭერა. ასევე გსურთ თქვენი პარტიის გამარჯვება მომავალ არჩევნებში, იმისათვის რომ გააგრძელოთ რეფორმების გატარება.

მიზნები:

შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის პოზიციიდან, თქვენ გაღელვებთ მოწყვლადი ჯგუფების ბედი თქვენ ქვეყანაში. ხართ ღია და მოქნილი ადამიანი და გესმით რეფორმების გატარების სასწრაფო აუცილებლობა. ამასთანავე, გამომდინარე თქვენი მემარცხენე შეხედულებებიდან, აცნობიერებთ სახელმწიფოს სოციალურ პასუხისმგებლობას. მაგრამ მეორე მხრივ, თქვენ ასევე გესმით, რომ ფინანსთა სამინისტრო, როგორც წამყვანი სამთავრობო დაწესებულება, წინააღმდეგობას გაუწევს რეფორმებს შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობების გამო.

თქვენი მიზანია, დაარწმუნოთ ხელისუფლება, გაატაროს რეფორმები განათლების სფეროში. ეს რეფორმებია: ინკლუზიური და ხელმისაწვდომი განათლება, ხელმისაწვდომი გადასახადები სტუდენტებისათვის და თანამედროვე სასწავლო პროგრამა. თქვენ ფიქრობთ, მხარი დაუჭიროთ სხვა სექტორების ბიუჯეტის შემცირებას, სოციალური მიზნის მქონე საგანმანათლებლო პროექტების სასარგებლოდ, მაგრამ ამასთანავე გაშინებთ შესაძლებლობა, რომ ეს თანხა შესაძლოა თქვენ სამინისტროს მოაკლდეს.

თქვენ ასევე ფიქრობთ მომავალ არჩევნებზე, რადგანაც გსურთ რომ შეინარჩუნოთ სამსახური და განაგრძოთ აქტიური საქმიანობა, ამიტომ დემოკრატიულმა პარტიამ დიდი რაოდენობით ხმები უნდა მოიპოვოს არჩევნებზე.

სახელი: ენდრიუ კუნდერა

სტატუსი: ფინანსთა მინისტრი

პირადი ინფორმაცია:

მთელი ცხოვრების მანძილზე ძალიან გიყვარდათ რიცხვები, ამიტომ ბევრს სწავლობდით, რათა საუკეთესო შედეგებისთვის მიგეღწიათ მათემატიკაში. თქვენ ასევე ყოველთვის გესმოდათ, რომ ქვეყნის წარმატებისათვის აუცილებელია, ჭკვიანი ადამიანები აგებდნენ პასუხს ციფრებზე. დიდ ბრიტანეთში გაცვლითი სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, პოლიტიკურ სფეროში მოღვაწე მეგობრების დახმარებით, შემოგთავაზეს ფინანსთა მინისტრის თანამდებობა. თქვენ დიდი გამოცდილება გაქვთ და წარსულში სხვადასხვა მთავრობების წევრი იყავით.

ამჟამად აცნობიერებთ, რომ ქვეყანაში არსებულ არეულობას დიდი გავლენა აქვს არასტაბილურ ეკონომიკაზე. თქვენი აზრით, ახლა საგანმანათლებლო რეფორმების დრო არ არის, რადგან საკმარისი თანხა ბიუჯეტში არ მოიძებნება.

არჩევნების შემდეგ, მოელით საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან შეხვედრას, რათა უზრუნველყოთ დამატებითი დაფინანსება საერთაშორისო დონორებისაგან. არსებული არასტაბილური მდგომარეობა იწვევს ქაოსს და უარყოფითად აისახება ეკონომიკაზე, შესაბამისად, გავლენას ახდენს სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავალზე. გარდა ამისა, ეს უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის იმიჯზე უცხოელი ინვესტორების თვალში. ამიტომაც გსურთ, რომ ბოლო მოუღოთ საპროტესტო მოძრაობას.

მიზნები:

თქვენი მიზანია, მხარი დაუჭიროთ განათლების მინისტრს, დაარწმუნოს სტუდენტები არჩევნებამდე მათთვის სასურველი რეფორმების (რომლებიც მოითხოვს ცვლილებებს ბიუჯეტში) გატარების შეუძლებლობაში, რადგან ძალიან მცირე დროა დარჩენილი (მხოლოდ ექვსი თვე). ასევე, თქვენი მიზანია, აუხსნათ პროტესტში ჩართულ მხარეებს, თუ რა გავლენას ახდენს მათი მოქმედებები ქვეყნის ეკონომიკაზე. ამასთანავე, აცნობიერებთ, რომ სტუდენტურმა მოძრაობამ შესაძლოა, გავლენა იქონიოს არჩევნების საბოლოო შედეგებზე; ამიტომაც ცდილობთ, კოლეგებთან ერთად იპოვოთ საუკეთესო გამოსავალი. თქვენი პრაგმატული ხასიათიდან გამომდინარე, რთულია თანაუგრძნოთ სტუდენტების ქაოტურ ჯგუფს.

სახელი: რონალდ ფერდსი

სტატუსი: ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 55 წლის. მას შემდეგ რაც დაამთავრეთ ბაკალავრიატი, მოღვაწეობთ სამეცნიერო სფეროში, და ამავე უნივერსიტეტის რექტორი ხართ. თქვენ ფლობთ უმაღლეს სამეცნიერო ხარისხს და ხართ მეცნიერების ეროვნული აკადემიის წევრი. მიგიღიათ არაერთი საპატიო წოდება და სახელმწიფო ჯილდოც კი: სიბრძნის ორდენი და სხვა არაერთი მედალი. კარგი ურთიერთობა გაქვთ განათლების სამინისტროსთან და ასევე საჭირო კავშირები მაღალ სამთავრობო წრეებში. თქვენ მუშაობდით ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად 13 წლის განმავლობაში. მანამდე იყავით ლექტორი იმავე უნივერსიტეტში, თითქმის 20 წლის მანძილზე. უნივერსიტეტში იცნობთ ყველას და ყველაფერს და ძალიან ამაყობთ ამით. ბევრს მუშაობთ იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ უნივერსიტეტის ტრადიციები და კარგი რეპუტაცია.

მიზნები

თქვენ ძალიან შეურაცხყოფილი ხართ სტუდენტების პროტესტით. ეს ალმა მატერის, ყველა პროფესორისა და ლექტორის ღალატად მიგაჩნიათ და პირად დარტყმად აღიქვამთ, რადგან სტუდენტებს არ უცდიათ პრობლემების გადაჭრა უნივერსიტეტის ფარგლებში და გაბედეს წამოჭრილი საკითხების გასაჯაროვება.

თქვენ გრცხვენიათ მთავრობისა და განათლების სამინისტროს წინაშე. თუკი ისინი თქვენ გადადგომას მოითხოვენ, ასეთ სირცხვილს ალბათ ვერ გადაიტანთ, ამიტომაც შემოიკრიბეთ ყველა მხარდამჭერი, რათა ერთობლივად იპოვოთ საუკეთესო გამოსავალი და გააკეთოთ შესაფერისი განცხადებები.

მზად ხართ, არ დაიშუროთ ძალისხმევა, რომ სტუდენტების ახირებას ბოლო მოუღოთ. არ აპირებთ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რადგან დარწმუნებული ხართ, რომ მათი იდეების წყალობით თქვენ შესაძლია, თანამდებობაც კი დაკარგოთ. აპირებთ მკაცრი ზომების მიღებას პროტესტის ლიდერებისა და ყველა არაერთგული სტუდენტის დასასჯელად. თქვენ არ აპირებთ, სტუდენტებს თავი ასეთ მძმე მდგომარეობაში ჩააყენებინოთ.

სახელი: ტომ იორკი

სტატუსი: ედნოვიის თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 46 წლის მამაკაცი ედნოვიის პატარა ქალაქიდან. საქმიანობა მიუძღვენით საოჯახო ბიზნესს თქვენსავე ქალაქში, მაგრამ მას შემდეგ რაც ბიზნესმა დიდი პოპულარობა მოიპოვა ახალგაზრდებს შორის, გადაწყვიტეთ საზოგადოებაში ცვლილებების მოხდენა საგანმანათლებლო სისტემის დახმარებით. თქვენი მეგობრის, თავისუფალი უნივერსიტეტის დამფუძნებლის, მხარდაჭერით, დაიწყეთ სტუდენტების სწავლება და მალევე გახდით ედნოვიის უდიდესი კერძო უნივერსიტეტის რექტორი. თქვენი ოცნება ყოველთვის იყო საზოგადოებისათვის სარგებელის მოტანა. საგანმანათლებლო მეთოდიკა არ განახლებულა მას შემდეგ, რაც თქვენ თავად იყავით სტუდენტი. გსურთ სისტემაში ცვლილებების შეტანა. გყავთ ოჯახი: ცოლი და 2 შვილი - 22 წლის გოგონა და 20 წლის ბიჭი და იცით, რამდენად რთულია მათთვის სამსახურის პოვნა.

მიზნები:

თქვენ დაინტერესებული ხართ უნივერსიტეტისთვის პოპულარობის მოპოვებით და გსურთ, რომ რაც შეიძლება მეტმა სტუდენტმა ჩააბაროს თქვენთან. იცით, რომ ხელისუფლებას არ სურს კერძო უნივერსიტეტების მხარდაჭერა, რაც გავლენას ახდენს მომავალი სტუდენტებისა და მათი მშობლების მხრიდან კერძო უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულებაზე. მთავრობა და

მთლიანად განათლების სისტემა ცდილობენ არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას. მათთვის მისაღებია მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტების მხარდაჭერა და ერთადერთ ინტერესს წარმოადგენს საგადასახადო შემოსავლის მიღება კერძო უნივერსიტეტებიდან. თქვენი აზრით, ყველა უნივერსიტეტს თანაბარი უფლება უნდა ჰქონდეს და არცერთი მათგანი არ უნდა იღებდეს ფულად დახმარებას, რადგან ეს შეამცირებს თქვენ შანსს, მიიღოთ დიდი რაოდენობით სტუდენტები. უნივერსიტეტის პოპულარობისა და განვითარების მიღწევა შესაძლებელია საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების გზით, რადგანაც სასწავლო გეგმებსა და მეთოდოლოგიურ პროგრამებს განათლების სამინისტრო ამტკიცებს, გჭირდებათ სტუდენტური მოძრაობის მხარდაჭერა, რათა მიაღწიოთ დასახულ მიზნებს. კერძო უნივერსიტეტები, ფლობენ მეტ ავტონომიას სახელმწიფო უნივერსიტეტებთან შედარებით, განსაკუთრებით პროფესორებისა და ექსპერტების შერჩევის საკითხში. ამის შედეგია განათლების უკეთესი ხარისხი. მომავალი დამსაქმებელი დაინტერესებულია კვალიფიცირებული სამუშაო ძალის არსებობით, რომელიც შეძლებს რეალურ, პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობას. უნივერსიტეტების დამოუკიდებლობის გაზრდა შედეგად გამოიღებს კვალიფიკაციის ამაღლებას კურსდამთავრებულთა შორის და სამუშაო ბაზარზე მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თქვენ გსურთ გახდეთ განათლების მინისტრი, მაგრამ აცნობიერებთ, რომ ამჟამად სამინისტროში დიდი კორუფციაა. გსურთ, სტუდენტური მოძრაობის დახმარებით ამჟამინდელი განათლების მინისტრის გადადგომას შეუწყოთ ხელი და საკუთარი თავი წარადგინოთ კანდიდატად.

სახელი: ოლივია ვოტსონი

სტატუსი: ლექტორი ინკლუზიური განათლების საკითხში/საგანმანათლებლო რეფორმების ექსპერტი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 32 წლის ქალი ედნოვიის დედაქალაქიდან. დაამთავრეთ მაგისტრატურა კონტინენტის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და საუკეთესო უნივერსიტეტში (მე-6 ადგილზე მსოფლიო რეიტინგში). ხართ ექსპერტი ინკლუზიურ განათლებაში და იქნებოდით საუკეთესო კანდიდატი წამყვანი რეფორმატორის პოზიციაზე. თქვენ მონაწილეობა მიგიღიათ საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესებისათვის რეფორმების გატარებაში ევროპასა და მოსაზღვრე ქვეყნებში, რომლებმაც იგივე პრობლემები გამოიარეს, რის წინაშეც ამჟამად ედნოვია იმყოფება. თქვენ, როგორც მოხალისე, კონსულტაციას უწევთ სტუდენტურ მოძრაობას და ცალსახად მხარს უჭერთ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი იდეებიც გაქვთ, რომლებიც მოძრაობის იდეებისგან განსხვავდება. ამასთანავე, თქვენ ხართ ლექტორი კერძო უნივერსიტეტში.

მიზნები:

თქვენი მთავარი მიზანია, დაეხმაროთ სტუდენტებს და მათ მომხრე ლექტორებს გადაწყვეტილებების მიღებასა და სამინისტროსათვის შესათავაზებელი არგუმენტების

ჩამოყალიბებაში. თქვენ გაღელვებთ განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა, თუმცა მხარს უჭერთ შერეულ სისტემას. მაგალითისთვის, თუკი სტუდენტური მოძრაობა მოითხოვს ყველა სტუდენტისათვის სწავლის თანაბარ შესაძლებლობლებს, მაშინ ეს ნიშნავს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ განათლებას ყველასათვის. თქვენ ემხრობით უფრო შერეულ პოლიტიკას: განათლება შესაძლოა იყოს უფასო, მაგრამ არა ყველასათვის, არამედ მხოლოდ მათთვის, ვისთვისაც ეს ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებელია. ასევე, თქვენ გსურთ, შეცვალოთ საუნივერსიტეტო პროგრამა ისე, რომ თქვენი საგნის სწავლებისას მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება იყოს შესაძლებელი. გარდა ამისა, გსურთ პროგრამის განახლება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად რაც გაზრდის თქვენი სტუდენტების კონკურენტულ უპირატესობას. თქვენ ემხრობით ყველა დაინტერესებული მხარის (სტუდენტები, მთავრობა, მინისტრები, ლექტორები) ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რეფორმების გატარებას.

სახელი: ანდრეა ტორსი

თანამდებობა: ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 62 წლის პროფესორი, ქალი, ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თქვენ და რექტორი საუკეთესო მეგობრები ხართ იქიდან გამომდინარე, რომ თითქმის მთლიანად იზიარებთ საერთო ღირებულებებს. 31 წლის მანძილზე მუშაობდით უნივერსიტეტში, ეკონომიკის ლექტორად. პერიოდულად, მხოლოდ მცირე ცვლილებები შეგქონდათ თქვენ სასწავლო საგანში. თვლით, რომ თქვენ საგანს არ სჭირდება გაუმჯობესება სტუდენტებისთვის ინფორმაციისა და გამოცდილების მიწოდების კუთხით. 2 წლით გადასცდით საპენსიო ასაკს, მაგრამ ჯერ კიდევ მუშაობთ, რადგან გჭირდებათ შემოსავალი, ამავე დროს ახალგაზრდა ლექტორები უფრო კერძო უნივერსიტეტებში მუშაობას ამჯობინებენ, მაღალი ხელფასის გამო.

მიზნები:

თქვენ ეწინააღმდეგებით ყველა სახის ცვლილებას, რადგან აცნობიერებთ, რომ თქვენი კვალიფიკაცია არ არის საკმარისი შესაბამისი განვითარებისათვის. არ გსურთ სასწავლო პროგრამის ან მეთოდოლოგიის შეცვლა, რადგან გესმით, რომ ვერ იმუშავებთ ახალი ინფორმაციის ამხელა ნაკადისა და ახალი ტექნოლოგიების

გამოყენებით. ამასთანავე, დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ მიერ მიწოდებული განათლება კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს ეკონომიკა უნივერსიტეტებში. არ გსურთ დროის დახარჯვა თანამედროვე მაგალითებისა და სავარჯიშოების კვლევაზე სტუდენტებისათვის, რადგან არ თვლით, რომ ამგვარი ინოვაცია საჭიროა. ხართ ძალიან კონსერვატიული და ეწინააღმდეგებით სტუდენტებს, რომლებიც ცდილობენ იყვნენ უფრო კრეატიულები საშინაო დავალების მომზადებისას. თქვენი თანამდებობა ძალიან გჭირდებათ, რადგან ერთ წელიწადში მიიღებთ მეორე ბინას ბონუსის სახით, სამუშაო სტაჟის გათვალისწინებით.

სახელი: ჯორჯ ჰუგო

სტატუსი: ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი (რომელიც იძულებული იყო შეეწყვიტა სწავლა ფინანსური მიზეზების გამო)

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 20 წლის მამაკაცი. თქვენ შეწყვიტეთ განათლება, რადგან ოჯახს არ აქვს შესაძლებლობა, გადაიხადოს სწავლის საფასური ან აიღოს სესხი არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო. ამასთანავე, უნივერსიტეტში ჩარიცხვისას, გამოცდების ჩაბარების დროს, თქვენ უარი განაცხადეთ ქრთამის გადახდაზე ლექტორებისთვის. ხართ სამოქალაქო აქტივისტი, რომელიც ჩართულია სტუდენტურ მოძრაობაში. ყოველთვის იცავთ სტუდენტების უფლებებს და ხმამაღლა აპროტესტებთ უთანასწორობასა და კორუფციას. მხარს უჭერთ სტუდენტურ მოძრაობას, რომელმაც შესაძლოა დადებითი ცვლილებები მოუტანოს საგანმანათლებლო სისტემას. ხართ საზრიანი და სწავლისას კარგ ქულებს იღებდით, თქვენი აზრით, სამართლიან ლექტორებთან. სხვა სტუდენტები გენდობიან თქვენი გულწრფელობის გამო.

მიზნები:

თქვენი მთავარი მიზანია, დაეხმაროთ სტუდენტურ მოძრაობას მიზნების მიღწევაში: ჩამოყალიბდეს თანასწორობა, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი განათლების სისტემის შექმნის მეშვეობით; გსურთ

განათლების სისტემაში კორუფციისა და პოლიტიკური პარტიების მავნე გავლენის აღკვეთა; ასევე თანამედროვე მიდგომების დანერგვა განათლების სისტემაში. თქვენ გსურთ სისტემის რეფორმირება და ცდილობთ, რომ მოცემულ კონფლიქტში ჩართულმა ყველა მხარემ შეიცვალოს პერსპექტივა, მათ შორის, სტუდენტებმა, ხელისუფლებამ, უნივერსიტეტში პოლიტიკის გამტარებლებმა, ლექტორებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და სხვ.

გსურთ, რომ სხვებს მიეცეთ ის შესაძლებლობა, რომელიც წაგერთვათ ფინანსური შეზღუდვების გამო; ამიტომაც, თქვენი მთავარი მიზანია, შეიქმნას სტიპენდიებისა და სესხის გაცემის სისტემა სტუდენტებისათვის, რომელიც მხარდაჭერილი იქნება სახელმწოფოს მხრიდან.

პერიოდულად მართავთ დემონსტრაციებს უნივერსიტეტში ან განათლების სამინისტროსთან. გინდათ, რომ სტუდენტებმა შექმნან საერთო დოკუმენტი კონკრეტული მოთხოვნებითა და რეკომენდაციებით. აგროვებთ ხელმოწერებს სტუდენტებისაგან და აპირებთ შეიტანოთ პეტიცია ოფიციალურ მოხელეებთან. ამ გზით, თქვენ ცდილობთ ამხილოთ შექმნილი სიტუაცია, წარმოაჩინოთ პრობლემები, რომლებიც საგანმანათლებლო სისტემაში არსებობს და დაიცვათ მომავალი სტუდენტები იმ წინააღმდეგობებისგან, რომელთა გამოვლაც თავად მოგიხდათ.

სახელი: ბრაიან ქენიონი

პოზიცია: პრო-სამთავრობო ტელევიზიის ჟურნალისტი ედნოვიის სახელმწიფო სატელევიზიო არხზე

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 26 წლის სატელევიზიო ჟურნალისტი, რომელიც წარმოადგენს პრო-სამთავრობო მედიას. სიახლეებს თქვენ მხოლოდ იმ პოლიტიკური პარტიის პერსპექტივიდან აშუქებთ, რომლისთვისაც მუშაობთ. არ ხართ ობიექტური, და გიწევთ დამალოთ თქვენი მიკერძოებულობა და აჩვენოთ, რომ ცდილობთ კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის მოსაზრებების წარმოჩენას. მმართველი პარტია დამატებით თანხას გიხდით იმისათვის, რომ მხოლოდ მათი პარტიიდან მოიწვიოთ სტუმრები სატელევიზიო შოუებსა და ინტერვიუებზე. გსურთ, თავიდან აიცილოთ სტუდენტებთან დაპირისპირება და ამასთანავე ემსახურებით მმართველ პარტიას, რადგან აცნობიერებთ, რომ შესაძლოა მათ სამსახურიდან გაგათავისუფლონ, თუკი დავალებას სათანადოდ ვერ გაართმევთ თავს.

მიზნები:

თქვენი მთავარი მიზანია, მოემსახუროთ პრო-სამთავრობო მედიას და შეასრულოთ მათი მოთხოვნები. თქვენ ყველაფერი ისე უნდა დაგეგმოთ, რომ მმართველი პარტია, საგანმანათლებლო სისტემა და არსებული საგანმანათლებლო მიდგომები უკეთეს პოზიციაში გამოჩნდეს, ხოლო სტუდენტური მოძრაობა მხოლოდ

ოპოზიციის პირადი მიზნებისათვის წამოწყებულ პროექტად წარმოჩინდეს. თქვენი მიზანია, შეინარჩუნოთ კარგი ურთიერთობა კონფლიქტის ყველა მხარესთან, მაგრამ ამასთანავე, მხოლოდ მთავრობა წარმოაჩინოთ დადებითი რაკურსით და დანერგოთ უნდობლობა სტუდენტურ მოძრაობაში.

სახელი: ადამ შანტსი

სტატუსი: ედნოვიის სახელმწიფო ტელევიზიის რეპორტიორი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 23 წლის რეპორტიორი და მუშაობთ ბრაიან ქენიონთან ერთად. ბრაიანი არის თქვენი ხელმძღვანელი და აქვს ძალიან დიდი გავლენა თქვენს მუშაობაზე. ბრაიანი გაძლევთ რჩევებს, თუ რა თემებზე უნდა წეროთ, ვისზე უნდა წეროთ და ა.შ. თქვენ უნივერსიტეტის ერთ-ერთი ლექტორის შვილი ხართ. მამათქვენი იმ უნივერსიტეტში მუშაობს, სადაც ამჟამად საპროტესტო აქციები იმართება. თქვენ მაქსიმალურად ცდილობთ დაიცვათ ეს უნივერსიტეტი და სტატიებში აჩვენოთ, რომ არსებული სისტემა აკმაყოფილებს საჭიროებებს, ლექტორების მიდგომები კრეატიული და ახლებურია, ისინი კვალიფიცირებულები არიან და უნივერსიტეტში არ არის კორუფცია, რადგან ყველა მოტივაციითა და დიდი ინტერესით მუშაობს.

მიზნები:

თქვენი მიზანია აჩვენოთ, რომ სტუდენტური მოძრაობის მოთხოვნები უსაფუძვლოა, მოკლებულია ხედვას და მისიას და აფერხებს სტუდენტური ცხოვრებისა და სწავლის ნორმალურ რიტმს. თქვენ უნდა დაეხმაროთ ბრაიანს და ითანამშრომლოთ მასთან, რათა დაანაწევროთ სტუდენტური მოძრაობა და აღძრათ ეჭვები სტუდენტების წინააღმდეგ.

სახელი: ანა კანდელიანი

პოზიცია: დამოუკიდებელი მედია: CITY TV-ს ჟურნალისტი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 31 წლის, გამოცდილი და პროფესიონალი სატელევიზიო ჟურნალისტი. იცავთ ნეიტრალუს პოზიციას. დაამთავრეთ ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თქვენ საკმაოდ ბევრი იცით საგანმანათლებლო სისტემის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების შესახებ. ცდილობთ, გადმოსცეთ ინფორმაცია რაც შეიძლება ობიექტურად და იყოთ შუამავალი კონფლიქტის ორივე მხარეს შორის. ცდილობთ, მოაწყოთ პრეს კონფერენციები და შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატში, სადაც ორივე მხარე შეძლებს საკუთარი აზრის გამოთქმას და „ოქროს შუალედის“ პოვნას. თქვენ წარმოადგენთ CITY TV-ს, კომპანიას, რომელიც მეგობრებთან ერთად დააარსეთ და ახლა ის წარმატებულ, დამოუკიდებელ მედია საშუალებას წარმოადგენს.

მიზნები:

თქვენი მიზანია, აღბეჭდოთ რეალობა, იყოთ ობიექტური და მისცეთ სტუდენტებს საკუთარი იდეების, იდეოლოგიისა და სასურველი ცვლილებების შესახებ მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა. თქვენ ნათლად ხედავთ, რომ პრო-სახელისუფლებო მედია არაობიექტურია და კონკრეტულ

პოლიტიკურ ელემენტს ემსახურება. თქვენ ამის წინააღმდეგი ხართ, რადგან გწამთ, რომ მედია ობიექტურ ინფორმაციას უნდა ავრცელებდეს და მთლიანობაში საზოგადოების საჭიროებებს ემსახურებოდეს. თქვენ ცდილობთ ესაუბროთ თქვენ კოლეგებს, ეხმარებით სტრატეგიის გაუმჯობესებაში და ცდილობთ დააწრმუნოთ მოუსმინონ კონფლიქტის სხვა მხარეებსაც. სტუდენტები გენდობიან და ყოველთვის გეკითხებიან რჩევას შემდგომი ნაბიჯების გადადგმისას.

სახელი: მარტინ დორმანი

სტატუსი: ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობის ლიდერი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის 22 წლის სტუდენტი. ხართ უნივერსიტეტის თვითმმართველობის ლიდერი. ეს პოზიცია მოიპოვეთ იმ ნაცნობების დახმარებით, რომლებიც მთავრობაში გყავთ. სწავლობთ მაგისტრატურაზე საერთაშორისო ურთიერთობების განხრით. აბარებთ გამოცდებს და კარგ ნიშნებს იღებთ თქვენი „რეპუტაციის წყალობით“. თქვენ მთავრობის მხარდამჭერ ყველა აქტივობაში იღებთ მონაწილეობას.

მიზნები:

თქვენი მთავარი მიზანია, წინააღმდეგობა გაუწიოთ ცვლილებებს საგანმანათლებლო სისტემაში და სტუდენტური მოძრაობის შემოთავაზებული ახალი კანონების გატარებას. თქვენი ერთ-ერთი მიზანია, ყველა შესაძლო ხერხით შეინარჩუნოთ თანამდებობა, რომელიც საკმაოდ დიდ ძალაუფლებას გაძლევთ. ამისთვის, მხარს უჭერთ, არსებულ საგანმანათლებლო სისტემას და კანონებს, ასევე მმართველ პარტიას და ხელისუფლებას. თქვენ მათთან ახლო ურთიერთობა გაკავშირებთ და საკუთარ თავს მომავალ პოლიტიკოსად განიხილავთ. თქვენ და თქვენი ორგანიზაცია წარმოადგენთ ახალგაზრდული პოლიტიკის საუკეთესო „მოდელს“ ხელისუფლებისათვის. თქვენთვის არსებული სიტუაცია

ხელსაყრელია. თუკი დამყარდება ახლებური სისტემა, შესაძლოა დაკარგოთ თანამდებობა და მასთან ერთად ის კომფორტიც, რომელსაც ეს პოზიცია უზრუნველყოფს, ამასთანავე დაკარგავთ პოლიტიკური კარიერის შექმნის შანსებსაც. დროის უდიდეს ნაწილს თვითმმართველობის საკითხებზე მუშაობას უთმობთ.

სახელი: ლაურა არქონი

სტატუსი: თვითმმართველობის წევრი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ბოლო სასწავლო წლის სტუდენტი. ხართ 21 წლის. 12 წლის ასაკიდან გინდოდათ იურისტობა. ხართ სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური წევრი და მის ყველა აქტივობაში იღებთ მონაწილეობას, მაგრამ მიგაჩნიათ, რომ თვითმმართველობის ახლანდელი ლიდერი არ იმსახურებს ხელმღვანელის თანამდებობას. იცით, რომ ის მთავრობის მიერ დაინიშნა. ამასთანავე, თქვენ ქალთა მოძრაობის აქტივისტიც ხართ. მხარს უჭერთ ქალთა ლიდერობას და ეწინააღმდეგებით იმას, რომ თვითმმართველობაში ყველა მმართველი პოზიცია კაცებს უჭირავთ.

მიზნები:

თქვენ გსურთ, გახდეთ თვითმმართველობის ახალი ლიდერი. ამისათვის ცდილობთ დაუახლოვდეთ სტუდენტურ მოძრაობას. მიგაჩნიათ, რომ თუკი ჩამოყალიბდება ახალი სისტემა, თვითმმართველობაში გატარდება დემოკრატიული რეფორმები - თქვენ დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვებთ და სათავეში ჩაუდგებით სტუდენტურ თვითმმართველობას. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე გიკავიათ ნეიტრალური პოზიცია ამ მოძრაობაში, რადგან არ ხართ ყველაფრით უკმაყოფილო საგანმანათლებლო სისტემასა და კანონმდებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობის წევრი ხართ, მაინც უპირატესობას დემოკრატიულ სისტემას ანიჭებთ. შესაბამისად, თქვენ დგახართ

ორმხრივი ამოცანის წინაშე - შეცვალოთ თვითმმართველობის სისტემა და ამასთანავე შეინარჩუნოთ მისი გავლენა უნივერსიტეტში.

სახელი: ტონი ტეილორი

სტატუსი: სტუდენტური მოძრაობის ლიდერი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 24 წლის მამაკაცი. სწავლობთ მაგისტრატურაზე ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის ფაკულტეტზე. ბაკალავრიატიც იმავე უნივერსიტეტში დაამთავრეთ. თქვენ მონაწილება მიიღეთ ERASMUS გაცვლით პროგრამაში, რამაც შესაძლებლობა მოგცათ, გამხდარიყავით ევროპული განათლების სისტემის ნაწილი. სწორედ ამ პერიოდში გაგიჩნდათ ბევრი ახალი იდეა. თქვენ არ გაკმაყოფილებთ ედნოვიის განათლების სისტემა და კანონმდებლობა, დაგღალათ უთანასწორობამ და ხართ თვითმმართველობის სისტემის მოწინააღმდეგე. ამიტომ შვიდი თვის წინ ჩამოაყალიბეთ მოძრაობა სხვა სტუდენტებთან ერთად. თქვენ ხელმძღვანელობთ მოძრაობას და გადაწყვიტეთ, ეს ყოფილიყო აქტიური და რადიკალური მოძრაობა.

მიზნები:

თქვენი მიზანია, შეცვალოთ არსებული განათლების სისტემა სახელმწიფო დონეზე, რადგან მცირემასშტაბიან ცვლილებებს შედეგი არ მოაქვს. ხართ მკაცრად მემარცხენე იდეოლოგიის მატარებელი, მხარს უჭერთ თანასწორობის პრინციპს და აქცენტს აკეთებთ მთავრობის სოციალურ პასუხისმგებლობაზე. თავდაპირველად, გამოთქვით პროტესტი უნივერსიტეტში კორუფციისა და ფინანსური სახსრების არამიზნობრივად

გამოყენების თაობაზე. პროტესტის დროს კი მიხვდით, რომ ყველა ეს პრობლემა უფრო დიდი პროცესის ნაწილია და ამ პროცესს სისტემური ცვლილებები ესაჭიროება. ამიტომაც, გადაწყვიტეთ რეალურ პრობლემებზე გაგემახვილებინათ ყურადღება და გესაუბრათ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მაგალითისთვის, განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

ყველა ამ საკითხის გათვალისწინებით, მეგობრებთან ერთად წამოიწყეთ მსხვილი მოძრაობა ქვეყანაში. თქვენი მიზანია არამხოლოდ განათლების სამინისტროზე, არამედ მთავრობის სხვა ორგანოებზეც იქონიოთ გავლენა. მაგალითად ისეთ ინსტიტუციებზე, როგორიცაა ფინანსთა სამინისტრო (რადგან ამ ცვლილებების განსახორციელებლად მთავრობამ უნდა შეკვეცოს სხვა სააგენტოებისა და ორგანოების ბიუჯეტი), შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (რადგან მოძრაობას მკვეთრად გამოხატული სოციალური მიზნები აქვს), და სხვ. ცდილობთ, რომ პროცესში ყველა მხარე ჩართოთ: არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა პირები, რათა გააძლიეროთ სტუდენტური მოძრაობა.

თქვენი მოძრაობა მოითხოვს:

ხელი შეეწყოს განათლების მიღებაზე თანასწორ ხელმისაწვდომობას სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკაში/კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანით და შეიქმნას უფასო ან ნაწილობრივ დაფინანსებული განათლების მექანიზმი;

ხელი შეეწყოს განათლების ხელმისაწვდომობას, განათლების პოლიტიკის სუბსიდირებით, რაც ნიშნავს უფასო ან მინიმალური გადასახადის მქონე განათლების შესაძლებლობებს;

შეიქმნას სტიპენდიებისა და სტუდენტური სესხის გაცემის სისტემა, რომელიც მთავრობის მიერ იქნება სუბსიდირებული;

გაიზარდოს ხარჯვის ეფექტიანობა, ფინანსების ეფექტიანი გადანაწილებით, რაც ნიშნავს მეტ ინვესტიციას განათლების სისტემაში და მთავრობის მიერ საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის უკეთეს გააზრებას;

აღმოიფხვრას კორუფცია უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში. დამყარდეს უფრო დემოკრატიული პრინციპები უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, ასევე გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ამ პროცესებში; მოხდეს სტუდენტური თვითმმართველობის სისტემის რეფორმირება;

გაუმჯობესდეს განათლების ხარისხი სილაბუსების განახლებით და თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვით, ასევე ბიბლიოთეკები აღიჭურვოს ედნოვიურ ენაზე არსებული ლიტერატურით;

სახელი: ქლეირი მარტინსი

სტატუსი: სტუდენტების წარმომადგენელი ედნოვიის ომბუდსმენის ოფისში

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ სტუდენტების წარმომადგენელი ომბუდსმენის ოფისში. მთავარი მოვალეობაა, წარმოადგინოთ სტუდენტები მთავრობაში, დაიცვათ მათი უფლებები და წარმოადგენდეთ სტუდენტების ხმას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გაქვთ კარგი კონტაქტები მთავრობასთან. წარსული გამოცდილებისა და დადებითი რეპუტაციის გამო, თქვენ მიმართ მთავრობაში კარგი დამოკიდებულება აქვთ. ერთის მხრივ, სტუდენტები გცემენ პატივს და ამასთანავე შეგიძლიათ, გავლენა მოახდინოთ მთავრობის გადაწყვეტილებებზე. თქვენ წარმოადგენთ კავშირს სტუდენტებსა და მთავრობას შორის.

მიზნები:

თქვენი მიზანია, სწორად შეაფასოთ არსებული მდგომარეობა და აირჩიოთ საუკეთესო გამოსავალი, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს. მაგრამ თანამდებობიდან გამომდინარე, მოგეთხოვებათ ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება და ამავე დროს სტუდენტების ყველა ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება: ერთი ჯგუფი მხარს უჭერს არსებულ საგანმანათლებლო სისტემას და კანონმდებლობას, სხვებს კი სურთ ცვლილებები. ეს აფერხებს თქვენ მუშაობას, რადგან ორივე მხარეს უნდა მოუსმინოთ და აირჩიოთ დიპლომატიური გზა. თუკი ვერ მიაღწევთ ბალანსს, უკმაყოფილო მხარეები ეცდებიან მათი წარმომადგენლის შეცვლას.

აქედან გამომდინარე, უნდა გააანალიზოთ შექმნილი სიტუაცია და ყველა მხარეს ყურადღებით მოუსმინოთ.

პირადად თქვენ მხარს უჭერთ რეფორმებს და დადებითად ხართ განწყობილი სტუდენტური მოძრაობის მოთხოვნების მიმართ. ამიტომ, პირადი ღირებულებები გიბიძგებთ, უფრო მეტად სტუდენტურ მოძრაობას უთანაგრძნოთ, ვიდრე თვითმმართველობას.

სახელი: სანდრა პორტმანი

სტატუსი: სტუდენტური მოძრაობის წევრი, თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენელი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი თავისუფალ უნივერსიტეტში., რომელიც ყველაზე ცნობილი კერძო უნივერსიტეტია ქვეყანაში. ყოველთვის წარმატებას აღწევთ კარიერულ და სხვა არასაუნივერსიტეტო საქმიანობაში, მაშინ როდესაც თქვენი მეგობრები ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ამჩნევენ, რომ მათი ცოდნა არ შეესაბამება სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს. თქვენი გამოცდილება, ენების ცოდნა, თეორიული და პრაქტიკული უნარები ყოველთვის საკმარისია, რადგან სათანადო საუნივერსიტეტო მომზადება გაქვთ გავლილი. ამიტომ შეუერთდით სტუდენტურ მოძრაობას, რათა მხარი დაუჭიროთ თქვენ მეგობრებს. თქვენ ახლა სტუდენტური მოძრაობის აქტიური წევრი ხართ და მონაწილეობას იღებთ მის ყველა აქტივობაში.

მიზნები:

თქვენი მიზანია, მხარი დაუჭიროთ სტუდენტურ მოძრაობას და მათ აქტივობებს. გამოდიხართ ძველი საგანმანათლებლო წყობის წინააღმდეგ. ფიქრობთ, რომ არსებული განათლების სისტემა სათანადოდ ვერ ამზადებს სტუდენტებს შრომის ბაზრისათვის, რასაც შედეგად უმუშევრობა მოჰყვება. ყველა სტუდენტს სჭირდება პრაქტიკული და თეორიული ცოდნა, ენების ცოდნა, კომპიუტერისა და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების უნარები, კომპანიებში მუშაობის გამოცდილება და სხვა. სამწუხაროდ, არსებული განათლების სისტემა ამ ყველაფრით ვერ უზრუნველყოფს სტუდენტებს. თქვენი სურვილია, ყველა სტუდენტს მიეცეს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა, ზუსტად ისე, როგორც თქვენ შეძელით.

სახელი: პემ კენერი

სტატუსი: ახალგაზრდული ორგანიზაციების ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ ახალგაზრდული ორგანიზაციების ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი. სკოლაშივე იყავით აქტიური ახალგაზრდა და სტუდენტობისას უკვე მრავალ მოხალისეობრივ აქტივობაში ჩაერთეთ. ამჟამად ხართ 32 წლის და წარმოადგენთ არასამთავრობო ორგანიზაციების უდიდეს გაერთიანებას. იქიდან გამომდინარე, რომ, სტუდენტებთან გიწევთ მუშაობა, აცნობიერებთ მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებს და მხარს უჭერთ სტუდენტებს მიმდინარე პროცესებში. სამართლიანად და დროულად მიგაჩნიათ სტუდენტების მოთხოვნები და გჯერათ, რომ სისტემაში აუცილებელია ცვლილებები. ასევე გაქვთ ბლოგი, სადაც წერთ ედნოვიაში თქვენი ცხოვრების შესახებ. თქვენი სტატიები ძალიან პოპულარულია და ყავს ბევრი მკითხველი. რეგულარულად აწყობთ შეხვედრებს სტუდენტურ მოძრაობასთან და ცდილობთ სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივიდან მიაწოდოთ ინფორმაცია ახალგაზრდებს.

მიზნები:

თქვენ ხართ ახალგაზრდების ძალიან აქტიური მხარდამჭერი და თქვენი ვალია, დაეხმაროთ სტუდენტებს უკეთესობისკენ შეცვალონ საუნივერსიტეტო გარემო და გახადონ სწავლა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი. ცდილობთ, ხშირად გამოჩნდეთ მედიაში და ნათლად უჭერთ მხარს ცვლილებებს განათლების სისტემაში. თქვენ

ბლოგზე მოუწოდებთ ახალგაზრდებს შეუერთდნენ სტუდენტურ პროტესტს და უკეთესობისაკენ შეცვალონ სისტემა.

თქვენ მოითხოვთ მთავრობისგან, რომ მეტი ფული დაიხარჯოს განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ახლოვდება არჩევნები, ცდილობთ მოლაპარაკებები აწარმოოთ მმართველი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან, რათა მათგან მიიღოთ გარანტიები და სტუდენტების მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი პასუხები. იცით, რომ პოლიტიკოსებიც დაინტერესებული არიან არჩევნებამდე სიტუაციის განმუხტვით, რადგან ვერ დაუშვებენ ხმების დაკარგვას. ხშირად გიწვევენ პლენარულ შეხვედრებზე, პარლამენტში. ყველა აქტორმა იცის, რომ დიდი გავლენა გაქვთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, რაც ან დაეხმარება მათ, ან გაართულებს წინასაარჩევნო პროცესებს.

რადგან თქვენ მთელი ედნოვიის მასშტაბით თანამშრომლობთ ახალგაზრდულ გაერთიანებებთან, იცით, რამდენად რთულია ქალაქგარეთ მცხოვრები ახალგაზრდებისათვის სასწავლებლად ჩასვლა დიდ ქალაქებში და სასწავლო და საცხოვრებელი გადასახადების დაფარვა. შესაბამისად, თქვენი მიზანია, მიაღწიოთ განათლების სისტემის სუბსიდირებას, სტუდენტებისათვის კრედიტების გაცემის სპეციალური პროგრამების შექმნას და მიიღოთ მთავრობისგან დაპირება რეალური რეფორმების გეგმის შექმნის შესახებ. ამასთანავე, ითხოვთ კამპუსების აშენებას სტუდნებტებისათვის.

სახელი: ტარას კოტო

სტატუსი: არასამთავრობო ორგანიზაცია „საგანმანათლებლო აქტივიზმის“ წარმომადგენელი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 28 წლის მამაკაცი. ტრენინგებზე დასწრება სტუდენტობიდან დაიწყეთ და ახლა თქვენ ცოდნასა და გამოცდილებას იყენებთ არასამთავრობო ორგანიზაცია „საგანმანათლებლო აქტივიზმის“ ხელმძღვანელის როლში. თქვენი აზრით, ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა არ არის ეფექტიანი და მნიშვნელოვანი ცვლილებები ესაჭიროება; ამიტომაც გადაწყვიტეთ, შეგექმნათ საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაცია და წვლილი შეგეტანათ ახალგაზრდების განვითარებაში. თქვენ, მხარს უჭერთ სტუდენტების მოთხოვნებს და მონაწილეობას იღებთ მათ საპროტესტო აქტივობებში.

მიზნები:

თქვენი მიზანია, მხარი დაუჭიროთ სტუდენტებს მათი მიზნების მიღწევაში. გამომდინარე იქიდან, რომ შვიდი წლის მანძილზე მუშაობდით განათლების სფეროში, აცნობიერებთ, რომ უნივერსიტეტში არსებული მეთოდოლოგიური მიდგომები მოძველებულია და პროფესორებს არ აქვთ სათანადო კვალიფიკაცია. ამასთანავე, ხედავთ სირთულეებს, რომელთა გადალახვაც რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს უხდებათ, რადგან თქვენი არასამთავრობო ორგანიზაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით მუშობს და

პროტესტი სტუდენტებისათვის ერთ-ერთი საშუალებაა, მიაღწიონ სასურველ შედეგს. თქვენ თანამშრომლობთ სტუდენტური მოძრაობის ლიდერთან და ახალგაზრდული ორგანიზაციების ეროვნული საბჭოს წარმომადგენელთან, რეგულარულად აწყობთ შეხვედრებს მათთან, რადგანაც გაქვთ აქტივიზმის დიდი გამოცდილება, მათ შორის, ევროპულ ორგანიზაციებში, ამიტომ კვალიფიციური რჩევის მიცემა შეგიძლიათ სტუდენტური მოძრაობისათვის სწორი სტრატეგიის შერჩევასთან და უკიდურესი რადიკალიზმის თავიდან აცილების გზებთან დაკავშირებით.

სახელი: მერი ტოლა

სტატუსი: „უნივერსალური პერსპექტივის“ წარმომადგენელი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 30 წლის ქალი, რომელიც უკვე 5 წელზე მეტია რაც მუშაობს სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის სფეროში. ამჟამად ხართ ედნოვიაში მომუშავე ერთ-ერთი მსხვილი და ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციის „უნივერსალური პერსპექტივა“ წარმომადგენელი. როგორც აქტიური მოქალაქე, ცდილობთ უკეთესობისაკენ შეცვალოთ არსებული სიტუაცია. ორგანიზაციაში გყავთ ექსპერტები სოციალური ინკლუზიისა და მხარდაჭერის მიმართულებით, ისინი მუშაობენ ამ საკითხების პოპულარიზაციაზე პოლიტიკურ პარტიებსა და უნივერსიტეტებში.

მიზნები:

თქვენი მიზანია, გაამყაროთ სტუდენტების მოთხოვნები მოწყვლადი ჯგუფების შესახებ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) სტუდენტები და მათი ოჯახები, რომლებიც ვერ ფარავენ სწავლისა და საცხოვრებლის გადასახადს) მთავრობის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით. თქვენი სურვილია, შემცირდეს სწავლის გადასახადი იმ სტუდენტებისათვის, ვინც ვერ იხდის სწავლის საფასურს, ასევე შშმ სტუდენტების საჭიროებებიდან გამომდინარე ადაპტირდეს უნივერსიტეტის გარემო. ამასთანავე, თქვენი მიზანია, მოსთხოვოთ უნივერსიტეტებს, ადაპტირდეს სასწავლო მასალა მხედველობა და სმენა დაქვეითებული სტუდენტებისათვის. თქვენ ეძებთ თანამოაზრეებს და გავლენიან ადამიანებს, რათა უკეთესად შეძლოთ სათქმელის მიტანა

აუდიტორიამდე. როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელს, მთავრობის მუშაკები დიდ პატივს გცემენ; გიმუშავიათ განათლებისა და შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, მათ რამდენიმე იდეა წარუდგინეთ ინკლუზიურ პროექტებთან დაკავშირებით. გამომდინარე აქედან, თქვენ აცნობიერებთ, რომ შეგიძლიათ იყოთ შუამავალი სტუდენტებსა და მთავრობას შორის.

სახელი: მაიკლ ლორენი

სტატუსი: ედნოვიის ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 50 წლის მამაკაცი, ამჟამად ედნოვიის ბიზნესის გაერთიანების თავმჯდომარე. დიდი ხანია ხართ ბიზნესში და იცნობთ ამ სფეროს სუსტ და ძლიერ მხარეებს, ედნოვიაში. ამასთანავე, ხართ ექსპერტი ადამიანური რესურსების განხრით. თქვენ მოსაზრებებს საზოგადოებაში და კერძოდ ბიზნესის სფეროში ძალიან აფასებენ. გყავთ ორი შვილი, სტუდენტები, რომლებმაც ახლახან დაიწყეს სტაჟირება თქვენ ასოციაციაში. ხშირად აძლევთ ინტერვიუებს ტელევიზიას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ამიტომ ხართ ცნობილი და პატივცემული ადამიანი. თქვენ, ასევე, აერთიანებთ დამსაქმებელთა უმრავლესობას.

მიზნები:

თქვენი მოსაზრება სტუდენტური მოძრაობის თაობაზე ნათელია: ყოველდღიურად ხედავთ, როგორ ცდილობენ სტუდენტები სამსახურის პოვნას, მაგრამ არ აქვთ ამისათვის საკმარისი უნარები. თქვენ მხარს უჭერთ ცვლილებებს და სტუდენტების მოთხოვნებს. მაგრამ, თუკი. ამას ღიად გამოხატავთ, მოგიწევთ მთავრობის წევრებთან დაპირისპირება. ამ ეტაპზე, არ გსურთ მათთან კონფლიქტი. თუმცა მეორე მხრივ, თქვენი ლიბერალური თვალთახედვიდან გამომდინარე, არც მთავრობის მხრიდან განათლებაზე მეტი თანხების გაღებას ემხრობით და არც

ყველასათვის სწავლის გადასახადის დაფარვის პოლიტიკას, რადგან გჯერათ, რომ მხოლოდ ის სტუდენტები უნდა ირიცხებოდნენ უნივერსიტეტში, რომლებსაც აქვთ სწავლის უნარი და შეუძლიათ საფასურის გადახდა. თქვენი მიზანია ორივე მხარესთან მოლაპარაკება. გსურთ, წამოაყენოთ ისეთი იდეები, რომლებიც კონფლიქტის ორივე მხარეს გამოადგება, მაგრამ თქვენთვის, პირველ რიგში, პირადი ინტერესებია პრიორიტეტული. იმ შემთხვევისათვის, თუკი მდგომარეობა ჩიხში შევა, მთავრობასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებისა და მეტი სარგებლის მისაღებად გეგმავთ, მოუწოდოთ სტუდენტებს აიღონ დაბალპროცენტიანი სესხი, რომელსაც ფინანსური ინსტიტუტები სთავაზობენ, გარანტად კი მათ მთავრობა დაუდგება. (კრედიტები მხოლოდ სამწლიანი იქნება ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის).

სახელი: პიკტო გრამერი

სტატსი: დამოუკიდებელი პოლიტიკოსი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 28 წლის მამაკაცი. არ მიეკუთვნებით რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, მაგრამ მონაწილეობას იღებთ არჩევნებში, როგორც დამოუკიდებელი საპარლამენტო კანდიდატი. ძალიან გიყვართ ანტიკური ფილოსოფია და გჯერათ, რომ არისტოტელეს მოსაზრებები სახელმწიფოსა და მთავრობის შესახებ შესაძლოა იყოს პასუხი ედნოვიის პრობლემებზე. თქვენ ასევე მიგაჩნიათ, რომ ედნოვიის საზოგადოებას უფრო მტკიცე მორალური და ეთიკური ნორმები ესაჭიროება.

სამწუხაროდ, არც თუ ისე პოპულარული ხართ ედნოვიაში. ბევრი ექსცენტრიულ და უცნაურ პიროვნებად მიგიჩნევთ. გჭირდებათ ძლიერი PR კამპანია, მაგრამ საამისოდ არ გაქვთ ფინანსური სახსრები. ამიტომ ცდილობთ, დაამყაროთ კავშირი სხვა ორგანიზაციებთან, სტუდენტებს კი მიიჩნევთ ერთ-ერთ გზად დამატებითი ყურადღების მოსაპოვებლად თქვენი კამპანიისათვის.

მიზნები:

სტუდენტურ პროტესტს აღიქვამთ კარგ შესაძლებლობად PR კამპანიისთვის. გაქვთ შესანიშნავი გეგმა განათლების სისტემის რეფორმისთვის. თქვენი დევიზია: „წარმატებული ადამიანი არის განათლებული ადამიანი“. თქვენი აზრით, დიდ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს განათლების ეთიკური და პოლიტიკური

ასპექტები და განათლება უნდა გახდეს უფრო ჰუმანისტური. თქვენი გეგმაა, მოიზიდოთ რაც შეიძლება მეტი ყურადღება თქვენი პროექტის მიმართ, დაამყაროთ კარგი კავშირები სტუდენტური მოძრაობის ლიდერებთან და დაარწმუნოთ ისინი, მოითხოვონ მთავრობისაგან თქვენი იდეების განხორციელება. თქვენი ოცნებაა, რომ სტუდენტებმა აღგიქვან, როგორც იდეალური კანდიდატი განათლების მინისტრის პოზიციაზე და მხარი დაუჭირონ თქვენ საარჩევნო კამპანიას. თქვენი იდეაა, უნივერსიტეტები გადააქციოთ „დაბალანსებული“ განვითარების ცენტრებად. თქვენი აზრით, განათლების მიზანი არამხოლოდ ცოდნის, არამედ სიხარულისა და სიკეთის მოტანაა. ამ მიზნების მისაღწევად, ედნოვიამ უნდა ჩადოს ინვესტიციები საუნივერსიტეტო სისტემაში და შექმნას ჰარმონიული სივრცე. პროფესორები უნდა ეპყრობოდნენ სტუდენტებს, როგორც თანასწორებს და აფასებდნენ თითოეული სტუდენტის ინდივიდუალიზმს. რა თქმა უნდა, ლექტორებს ესაჭიროებათ გადამზადება ახლებურ მიდგომებში და ზოგიერთი მათგანი უფრო ახალგაზრდა მასწავლებლებმა უნდა ჩაანაცვლონ.

სახელი: ბალაშ გენოდო

სტატუსი: ოპოზიციის წარმომადგენელი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 32 წლის ქალი. ხართ ძალიან ამბიციური და ოცნებობთ დიდ პოლიტიკურ კარიერაზე, შესაძლოა როდისმე ედნოვიის პირველ ქალ პრეზიდენტად გახდომაზეც კი. აფასებთ დინამიკურ, ინოვაციურ, დემოკრატიულ მიდგომებს პოლიტიკაში, რაც ედნოვიაში არსებული პატრიარქალური, კონსერვატიული პოლიტიკური სისტემისთვის უცხოა. თქვენ უნდა იყოთ ძლიერი და მოქნილი, რათა შეძლოთ მამაკაცი პოლიტიკოსებისათვის კონკურენციის გაწევა. თქვენ გჯერათ, რომ ქალებს შეუძლიათ ცვლილებების მოხდენა და ქვეყნის გაძღოლა კეთილდღეობისაკენ. თქვენ მიეკუთვნებით პარტიას „New Seeds”, რომელიც არის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია და ხართ პარტიის ლიდერების უმაღლეს ხუთეულში.

მიზნები:

გადაწყვიტეთ, ჩარეულიყავით სტუდენტურ პროტესტში, რათა მოიპოვოთ მხარდაჭერა მომავალ არჩევნებზე. გაინტერესებთ ახალგაზრდა, განათლებული ადამიანები, რადგან ისინი ამომრჩევლების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ და ედნოვიის მოსახლეობის უმრავლესობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების სიმპატიას იმსახურებენ. ისურვებდით ახალი, ახალგაზრდა

წევრების, განსაკუთრებით გოგონების აყვანას თქვენ პარტიაში. თქვენი მიზანია, სტუდენტური პროტესტის დახმარებით შექმნათ საკუთარი თავის, როგორც რეფორმატორის, „ახალგაზრდების მეგობრის“ და „ქვეყნის მომავლის“ იმიჯი. თუმცა, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ არ ეთანხმებით მათ მთავარ მოთხოვნას, რომელიც ეხება თანასწორობის მიღწევას განათლებაში, სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანას და უფასო ან ნაწილობრივ უფასო სახელმწიფო განათლების მექანიზმის დამატებას. როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს, თქვენ განსხვავებული შეხედულებები გაქვთ, მაგრამ ახალგაზრდების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, კომპრომისზე უნდა წახვიდეთ და მხარი დაუჭიროთ არა სრულიად უფასო განათლებას, არამედ განათლების სუბსიდირებას მხოლოდ მათთვის, ვისაც ეს ესაჭიროება.

თქვენ გყავთ გამოსადეგი კონტაქტები მედიაში და რამდენიმე ერთგული ნაცნობი მთავრობაში, მაგრამ ამასთანავე ძალიან შეზღუდული ხართ ფინანსებში.

სახელი: გამურ ონორე

სტატუსი: მმართველი პარტიის წარმომადგენელი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 48 წლის მამაკაცი. მიეკუთვნებით პარტიას „ძლიერი ედნოვია“, რომელიც ამჟამად მმართველი პარტიაა. „ძლიერი ედნოვიის“ პოლიტიკური კრედოა ძლიერი, იერარქიული ძალაუფლება, ვერტიკალური და ავტორიტეტული მთავრობა. თქვენ თვლით, რომ ქვეყანას სჭირდება „ძლიერი მმართველი ხელი“. თქვენი აზრით, დემოკრატია არ არის ქვეყნის მართვის საუკეთესო გზა და შესაძლოა, დამანგრეველიც კი იყოს ედნოვიისთვის. დარწმუნებული ხართ, რომ დემოკრატიული ფასეულობები წინააღმდეგობაშია ედნოვიელი ხალხის ისტორიულ ტრადიციებთან და მენტალობასთან. თქვენ აღიარებთ, რომ გარკვეული ცვლილებები საჭიროა ედნოვიაში, მაგრამ არ დაუშვებთ, რომ რაიმე რეფორმამ ზიანი მიაყენოს თქვენი ქვეყნის ტრადიციებს.

მიზნები:

აღგაშფოთებთ სტუდენტური პროტესტის ამჟამინდელი მდგომარეობა. თქვენი აზრით, სტუდენტები უნდა ამაყობდნენ იმით, რომ არიან ედნოვიის მოქალაქეები და მადლიერებას გამოთქვამდნენ, რომ საერთოდ რაიმე სახის განათლების მიღების შესაძლებლობა მიეცათ. ისინი, თქვენი აზრით, არარაციონალურ

მოთხოვნებს აყენებენ. მეტიც, მათ არც ცოდნა აქვთ, არც გამოცდილება ისეთ სერიოზულ თემებზე სასაუბროდ, როგორიცაა განათლების სისტემა. თვლით, რომ მათ არ აქვთ რაიმეს მოთხოვნის უფლება სახელმწიფოსგან, სანამ თავად არ შეიტანენ წვლილს სახელმწიფოებრიობის შექმნაში. პირადად თქვენ, ისურვებდით მკაცრი ზომების მიღებას ყველა გამპროტესტებლის მისამართით, მაგრამ ხართ გამოცდილი და ბრძენი პოლიტიკოსი, ამიტომ ფრთხილად მოქმედებთ. დადებითად უნდა წარმოაჩინოთ თქვენი პარტია და მოიპოვოთ ამომრჩევლების მხარდაჭერა. ამისათვის, გეგმავთ პრო-სამთავრობო მედია საშუალებების გამოყენებას. ისინი წარმოაჩენენ სტუდენტებს, როგორც ძალადობრივ, ხარბ და მიკერძოებულ მეამბოხეებს. ამასთანავე, თქვენ გასცემთ რამდენიმე მინიმალური საგანმანათლებლო რეფორმის დაპირებას, რათა ამომრჩეველი დამშვიდდეს და მზად ხართ განათლების მინისტრიც კი ჩაანაცვლოთ.

სახელი: ვედ გუპტანი

სტატუსი: ოპოზიციის წარმომადგენელი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 40 წლის მამაკაცი. მიეკუთვნებით პარტიას „კეთილდღეობა და ზრდა“, რომელიც წარმოადგენს მმართველი პარტიის ოპოზიციას. მოიაზრებით პარტიის 5 წამყვან ლიდერს შორის. ხართ პრაგმატიკოსი. თქვენი პარტიის პოლიტიკა, ძირითადად, მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. სკეპტიკურად ხართ განწყობილი რამდენიმე სხვა ოპოზიციური პარტიის პოპულისტური პროგრამის მიმართ, მაგალითად, როგორიცაა “New Seeds”, და მიგაჩნიათ, რომ ისინი არასდროს მუშაობენ საკუთარი გეგმების ეკონომიკურ ასპექტებზე.

გეგმები:

თქვენ კეთილად ხართ განწყობილი სტუდენტების მიმართ, რადგან სკოლის მოსწავლეების მამა ხართ და განათლების სისტემაში. პირადად აწყდებით პრობლემებს. თქვენ ასევე კარგად იცნობთ ბიუჯეტის დეფიციტთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას. თქვენთვის გაუგებარია, ამ ეტაპზე როგორ უნდა ჩადოს მთავრობამ მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები განათლებაში. გეგმავთ, შვილები საზღვარგარეთ გაგზავნოთ სასწავლად, რადგან თქვენი აზრით, ედნოვიის განათლების სისტემაში არაფერი შეიცვლება. გსურთ, რომ ქვეყანას ჰქონდეს უფასო განათლების სისტემა და ყველა ახალგაზრდას ჰქონდეს დაბრკოლებების გარეშე

სწავლის შესაძლებლობა, მაგრამ ხართ რეალისტი და ვერ ხედავთ ამ მიზნის მიღწევის გზებს, რადგან იცნობთ თქვენი ქვეყნის ფინანსურ პოტენციალს.

მიუხედავად ამისა, აპირებთ, გამოიყენოთ შექმნილი სიტუაცია, რათა დაუპირისპირდეთ პოლიტიკურ მტრებს მმართველ პარტიაში. თქვენი დევიზია: „ყველაფერი ცუდი მმართველი პარტიისთვის კარგია ჩემთვის“.

სახელი: ჯეიმს კონერი

სტატუსი: წარმატებული IT კომპანია „Smart tech“-ის აღმასრულებელი დირექტორი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ „Smart tech“-ის, ედნოვიაში წამყვანი IT კომპანიის, 34 წლის წარმატებული აღმასრულებელი დირექტორი. გჯერათ, რომ ედნოვიის განათლების სისტემას რეფორმები ესაჭიროება. თქვენ შეუერთდით საპროტესტო მოძრაობას, რათა გაგეზიარებინათ თქვენი გამოცდილება სხვა სტუდენტებისათვის. თქვენი რწმენით, კარგი განათლება გადამწყვეტია და ის ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ფიქრობთ, რომ მთავრობამ უფრო მეტად უნდა ითანამშრომლოს ბიზნესთან განათლების მიმართულებით.

მიზნები:

თქვენი მიზანია, სტუდენტების პროგრამაში პრაქტიკული მაგალითებიც იყოს წარმოდგენილი. თქვენი აზრით, უნივერსიტეტის თანამშრომლებმა სტუდენტებისათვის უნდა უზრუნველყონ პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა. მზად ხართ, უნივერსიტეტს შესთავაზოთ 10 ანაზღაურებადი სტაჟირება სტუდენტებისათვის. თქვენი ერთ-ერთი მიზანია, რომ ის კომპანიები, რომლებიც სტუდენტებს ასაქმებენ, გარკვეული უპირატესობებით სარგებლობდნენ. ამიტომაც შეუერთდით სტუდენტურ მოძრაობას და ცდილობთ, თქვენი იდეები პარლამენტის წევრებს შორის გაავრცელოთ.

ამასთან, აცნობიერებთ, რომ მეტი პრაქტიკანტის აყვანის შემთხვევაში, შესაძლოა, სირთულეები შეგექმნათ. თქვენ მხოლოდ საუკეთესო სტუდენტების აყვანა შეგიძლიათ, IT უნარები კი არ წარმოადგენს პრიორიტეტს საგანმანათლებლო სისტემაში, თქვენ კი არ გაქვთ არაკვალიფიცირებული სტუდენტის აყვანის ფუფუნება.

სახელი: ტომ შმიტი

სტატუსი: სტუდენტური მოძრაობის აქტივისტი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 21 წლის მამაკაცი, ამბიციური სტუდენტი, რომელიც შეუერთდა სტუდენტურ მოძრაობას, რათა პირადი მიზნებისათვის მიეღწია. გსურთ გახდეთ ცნობილი და ძალაუფლებიანი პოლიტიკოსი. ხართ კონსერვატიული ახალგაზრდული პარტიის წევრი. პროტესტში აქტიურობის გზით გსურთ გახდეთ პოპულარული. მიუხედავად იმისა, რომ არ ეთანხმებით მოძრაობის ყველა მოთხოვნას, მაინც ცდილობთ, მასში რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩართოთ თქვენი პარტიიდან, რათა გაზარდოთ თქვენი ძალაუფლება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მიზნები:

თქვენი მიზანია, აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ყველა აქტივობაში და გაშუქდეთ მედია საშუალებებში. გსურთ, გახდეთ მოძრაობის ლიდერი. ფიქრობთ, შექმნათ მეტი საპროტესტო აქტივობა დამოუკიდებლად. ამ მიზნის მისაღწევად, ცდილობთ შემოიკრიბოთ მხარდამჭერთა ჯგუფი თქვენ გარშემო. შედეგად, გსურთ გახდეთ კონსერვატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელი და პარლამენტის არჩეული წევრი. თქვენ ასევე ცდილობთ, ჩამოაყალიბოთ თქვენი კონსერვატიული იდეები

მოთხოვნების სახით და თანდათან უფრო აქტიური როლი დაიკავოთ მოძრაობის ხელმძღვანელობაში, რათა გაიზარდოს თქვენი შანსი, წარმოაჩინოთ მოძრაობის მიღწევები როგორც თქვენი საკუთარი პარტიის შედეგები.

სახელი: ჯონ იანგი

სტატუსი: დამოუკიდებელი მედიის კორესპონდენტი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ დამოუკიდებელი უცხოური სატელევიზიო არხის „World of News“-ის კორესპონდენტი. თქვენ ქვეყანას სურს ბიზნეს პარტნიორობის დამყარება ედნოვიასთან. თქვენ გაინტერესებთ ედნოვიის სოციალური ყოფის ყველა ასპექტი და გსურთ მათი გაშუქება აუდიტორიისათვის. ახლახანს ჩამოხვედით დედაქალაქში და დაგხვდათ სტუდენტური პროტესტი ედნოვიაში, ამიტომ დაიწყეთ ამ საკითხის კვლევა და ფოტო და ვიდეო რეპორტაჟის მომზადება. პირადად თქვენ ხართ მემარცხენე პიროვნება და ამიტომ მხარს უჭერთ სტუდენტების ყველა მოთხოვნას და არასამუშაო დროსაც აქტიურად ხართ ჩართული სტუდენტურ პროტესტში.

მიზნები:

თქვენი მიზანია, ჩაერთოთ პროტესტის ყველა სტადიაში და აუდიტორიას მიაწოდოთ ნათელი და დაბალანსებული მოსაზრება. ამისათვის გსურთ, გქონდეთ უწყვეტი კონტაქტი ადგილობრივ გაზეთებთან და მიიღოთ მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ დებატებში. თქვენ უნდა გქონდეთ ინფორმაცია მოძრაობაში ჩართულ ყველა აქტორზე, იქნებიან ეს მთავრობის წევრები, კომპანიების დირექტორები, უნივერსიტეტის მმართველობა თუ სტუდენტურ მოძრაობაში ჩართული სხვა მხარეები.

სახელი: გარსია გონსალესი

სტატუსი: ვიდეო ბლოგერი, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტურ მოძრაობას

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 24 წლის შესანიშნავი ვიდეო ბლოგერი, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტურ მოძრაობას. თქვენი ბლოგის სათაურია: „Keep walking“ („გააგრძელე სიარული“). თქვენ ყოველდღე აკვირდებით სტუდენტურ აქტივობებს, აღბეჭდავთ მათ თქვენ ბლოგზე და თან ურთავთ პირად მოსაზრებას სტუდენტების იდეებთან დაკავშირებით. იყო შემთხვევა, როდესაც გაიძულებდნენ, გადაგეხადათ ქრთამი გამოცდის ჩასაბარებლად. თქვენ არ გადაიხადეთ ქრთამი და შედეგად გაირიცხეთ უნივერსიტეტიდან. ამჟამად ამზადებთ რეპორტაჟს, რომელშიც გსურთ უნივერსიტეტში არსებული რეალური სიტუაცია აღბეჭდოთ.

მიზნები:

თქვენი მიზანია, მხარი დაუჭიროთ სტუდენტების იდეებს და შეცვალოთ განათლების სისტემა თქვენ ქვეყანაში. ზოგი პოლიტიკოსი ცდილობს, თქვენი პოპულარობა საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად გამოიყენოს, რათა აჩვენოს ხალხს, რომ „ქვეყანაში პრობლემები არ არსებობს“. თქვენ არ მოგწონთ ამგვარი წნეხის ქვეშ ყოფნა და ცდილობთ ყველას გააცნოთ რეალური სიტუაცია განათლებასთან დაკავშირებით ედნოვიაში.

სახელი: დეივ მარველო

სტატუსი: სახალხო დამცველი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 35 წლის მამაკაცი, სწავლობდით სამართალს ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მიღებული გაქვთ მონაწილეობა ევროპის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის საბჭოს ტრენინგებში. მაქსიმალურად ეცადეთ, შეგენარჩუნებინათ სამუშაო ადგილი მთავრობაში, არა პოლიტიკური ამბიციების გამო, არამედ რადგან ცვლილებების მოხდენა და თანასწორობისათვის ბრძოლა გსურდათ. თქვენი, როგორც სახალხო დამცველის მისიაა, თანასწორობასა და სახელმწიფო პოლიტიკას შორის ბალანსის დამყარება. მაქსიმალურად ცდილობთ მხარი დაუჭიროთ რეფორმებს, რომლებიც შედეგად მოიტანს განათლების ხელმისაწვდომობას ყველა სოციალური ჯგუფისათვის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

მიზნები:

თქვენ ხართ სამართლიანი ადამიანი და ყველანაირად ეცდებით მიაღწიოთ თანასწორობასა და საზოგადოების ყველა წევრის ინტეგრაციას. მზად ხართ, გააკეთოთ მკაცრი განცხადებები, რომლებიც გამომდინარეობს თქვენი ღირებულებებიდან, მაგრამ

მიუღებელია მთავრობისათვის. სტუდენტობისას ძალიან აქტიური იყავით და ახლა მეგობრული ურთიერთობა გაკავშირებთ სტუდენტურ მოძრაობასთან. ასევე გჯერათ, რომ საზოგადოებრივი სექტორის წევრობა არამხოლოდ ძალაუფლებას განიჭებთ, არამედ პასუხისმგებლობასაც. გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან კარგი კონტაქტები გაქვთ საერთაშორისო წრეებში, ცდილობთ, ხალხის ხმა არამხოლოდ მთავრობის არამედ საერთაშორისო დონეზეც გაავრცელოთ. იცით, რომ ახლოვდება არჩევნები და ეს შესაძლოა შესაფერისი მომენტი იყოს, რათა უბიძგოთ მთავრობას, დააკმაყოფილოს სტუდენტების მოთხოვნები და მხარი დაუჭიროს მეტ თანასწორობას განათლების სისტემაში. თქვენი აზრით, ყველა პარტია აცნობიერებს, რომ სტუდენტური მოძრაობა შესაძლოა ძლიერი იარაღი იყოს საზოგადოებრივი აზრის შესაცვლელად.

სახელი: ჯეინ მირონია

სტატუსი: დამოუკიდებელი ეკონომიკური ექსპერტი გავლენიან ორგანიზაცია „რაციონალურ დაგეგმვაში“

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ პატივცემული და ცნობილი ეკონომისტი, 40 წლის ქალბატონი. თვლით, რომ განათლების სისტემის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ცვლილებები, მაგრამ სამწუხაროდ, სტუდენტებს არ აქვთ რაციონალური მოთხოვნები. თქვენ სწავლობდით ედნოვიის უნივერსიტეტში, სადაც ახლა ასწავლით ეკონომიკას და აცნობიერებთ სირთულეებს, რომელთა წინაშეც დგას უნივერსიტეტი.

მიზნები:

თქვენ მიგაჩნიათ, რომ რეფორმები უმნიშვნელოვანესია ედნოვიის საგანმანათლებლო სისტემისთვის, თუმცა, თქვენი აზრით, სტუდენტების მოთხოვნები არარაციონალურია. თქვენი გადმოსახედიდან, ეს მოთხოვნები ზედმეტად ემოციურია და არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს; ეწინააღმდეგებით განათლების სუბსიდირებისა და ფონდების სხვა სფეროებიდან განათლებაში გადატანის იდეას. ეთანხმებით უნივერსიტეტის მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროგრამის განახლებას, თუმცა ამ საკითხშიც არ ემხრობით მთავრობის მხრიდან ხარჯების ზრდის მოთხოვნას. თქვენ გჯერათ, რომ

უნივერსიტეტი თავს უნდა იფინანსებდეს საკუთარი შემოსავლიდან, ამიტომ ცდილობთ, განმარტოთ თქვენი პოზიცია და სტუდენტების მოთხოვნები უფრო ბაზარზე ორიენტირებული მიმართულებით შეცვალოთ.

სახელი: მაიკლ ლასკო

სტატუსი: ორგანიზაცია „პოლიმერიის“ დამოუკიდებელი ექსპერტი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 30 წლის მამაკაცი. ყოველთვის ძალიან გიყვარდათ ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს იყო თქვენი საოცნებო სასწავლებელი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაამთავრეთ მაგისტრატურა წამყვან უცხოურ უნივერსიტეტში (შედის მსოფლიოს პირველ ათეულში). უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარების გარდა, თვლით, რომ საჭიროა საკუთარი, ედნოვიისათვის უნიკალური მოდელის შექმნა. ამჟამად თქვენ წარმოადგენთ ადგილობრივ პოპულარულ ორგანიზაციას „პოლიმერია“. თქვენ ითვლებით ინტელექტუალად, და თქვენ სიტყვას დიდი სოციალური წონა აქვს. მაგრამ მეორე მხრივ, თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობებიდან და აზროვნებიდან გამომდინარე, ბევრი ცინიკოსად მიგიჩნევთ

მიზნები:

თქვენ ხართ „პოლიმერიის“ ხელმძღვანელი. მიგაჩნიათ, რომ რეფორმები აუცილებელია. თქვენ ეთანხმებით სტუდენტების მოთხოვნებს, რადგან ისინი ემხრობიან განათლების სოციალური მოწყობის მოდელს. ედნოვიის განვითარების დონის გათვალისწინებით, თქვენ მხარს უჭერთ შერეულ სისტემას: განათლება შესაძლოა იყოს უფასო, მაგრამ მხოლოდ

ახალგაზრდების ნაწილისათვის და გარკვეული საფეხურის შემდგომ ის თავად სტუდენტების მიერ უნდა ფინანსდებოდეს. თქვენი აზრით, სახელმწიფო სტიპენდია უნდა ეძლეოდეს მხოლოდ საუკეთესო სტუდენტებს და არა ყველა სტუდენტს სოციალური სტატუსიდან გამომდინარე.

თქვენ ზუსტად იცით, რომ სტუდენტების მოთხოვნების განხორციელება უტოპიაა და მთავრობა მათ არასდროს დააკმაყოფილებს, ამიტომ ცდილობთ დაარწმუნოთ ახალგაზრდები, რომ მთავრობამ შესაძლოა მხოლოდ თქვენი პოზიცია და მოთხოვნები გაითვალისწინოს. თქვენი სურვილია, განამტკიცოთ თქვენი რეპუტაცია და მიაღწიოთ საუნივერსიტეტო პრობლემების პროდუქტიულ გადაწყვეტას.

სახელი: იანა მასკოვა

სტატუსი: განათლების სამინისტროს მრჩეველი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 30 წლის ქალი. დაიბადეთ ედნოვიის დედაქალაქში და ხართ ჟურნალისტების ოჯახის უფროსი ქალიშვილი. პოლიტიკური მეცნიერებებისა და ეკონომიკის შესწავლის შემდგომ თქვენ დაიწყეთ მუშაობა ედნოვიის მუნიციპალიტეტში, 2008 წელს კი განათლების სამინისტროში გადახვედით. დიდხნიანი დაუღალავი მუშაობის შემდეგ, როგორც იქნა, შარშან დაგაწინაურეს და მინისტრის მრჩეველად დაგნიშნეს. თქვენ მთელ ცხოვრებას მუშაობას უძღვნით. არ ხართ დაქორწინებული და არ გყავთ ბავშვები.

მიზნები:

როგორც მინისტრის მრჩეველს, თქვენ გევალებათ, მხარი დაუჭიროთ და გაამართლოთ მინისტრის გადაწყვეტილებები. ამიტომ თქვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მან მისაღები გამოსავალი იპოვოს და არ დაიბნეს ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებში პოზიციის არჩევისას. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ არ ხართ მაინცდამაინც კომპეტენტური განათლების საკითხებში, თქვენ აცნობიერებთ, რომ კრიზისის დროს მნიშვნელოვანია კომპრომისებზე წასვლა. ამიტომაც ცდილობთ, დაარწმუნოთ ფინანსთა მინისტრი შეამციროს სხვა სექტორების (ან სამინისტროების) ბიუჯეტი. კარგად გესმით ის რთული მდგომარეობა, რომელშიც მინისტრი

იმყოფება. ის ცდილობს იპოვოს გამოსავალი და გაუმკლავდეს რეფორმებისათვის სახსრების უკმარისობისა და კრიზისის დაძლევის აუცილებლობის დილემას, რადგან ეს არჩევნების შედეგებზე დიდ გავლენას მოახდენს. თქვენ არ ეთანხმებით სტუდენტების პროტესტს, რადგან ფიქრობთ, რომ ისინი აქციებს მხოლოდ იმისათვის აწყობენ, რომ არ ისწავლონ და არ იმუშავონ. ამასთანავე, პროფესიონალიზმის წყალობით, შეგიძლიათ დაინახოთ განსხვავება პირად და პროფესიონალურ მიდგომებს შორის.

სახელი: ლეო ტრენტინო

სტატუსი: სოციალირი და პოლიტიკური მეცნიერებების დეკანის მოადგილე ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 32 წლის მამაკაცი, არამხოლოდ ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი უნივერსიტეტში, არამედ ასევე დეკანის ყველაზე ახალგაზრდა მოადგილე ედნოვიაში. თქვენ სწავლობდით სოციალურ მეცნიერებებს ედნოვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამ პერიოდშივე ჩაერთეთ სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში. ძალიან ამაყობთ იმით, რომ გაქვთ კარგი კავშირი ახლანდელ სტუდენტურ თვითმმართველობასთან და ახლოს თანამშრომლობთ მასთან.

მიზნები:

თქვენ ამაყობთ იმით, რომ დაინიშნეთ პროექტის ექსპერტად განათლების საკითხებში სტუდენტური თვითმმართველობის მიერ. ამიტომ თქვენი სურვილია, იყოთ თვითმმართველობის წარმომადგენელი და ამავე დროს, საკუთარ უნივერსიტეტს განიხილავთ იდეალურ მაგალითად იმისა, თუ როგორი უნდა განათლების სისტემა. არამხოლოდ კარგი განათლება მიიღეთ ამ უნივერსიტეტისგან, არამედ ახლა ასევე წარმატებით ხართ ჩართული სამეცნიერო კარიერაში. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არსებობს გაუმჯობესების პოტენციალი, თქვენი აზრით, მნიშვნელოვანია, ასევე განათლების სისტემის დადებითი მხარეების წარმოჩენა.

თქვენც და თვითმმართველობაც, რომელმაც დაგნიშნათ, სარგებლობთ არსებული, ელიტარული განათლების სისტემის უპირატესობებით. მართალია, თქვენ ღია ხართ გარკვეული სახის ცვლილებებისთვის, მაგრამ თქვენი მიზანია, შეინარჩუნოთ ზოგიერთი პრივილეგია, რომლითაც სარგებლობს თვითმმართველობა.

სახელი: ნონა დავიდოვა

სტატუსი: სახელმწიფო-სამოქალაქო ურთიერთობების დამოუკიდებელი ექსპერტი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ ხართ 36 წლის ქალი. ხართ მასწავლებლისა და ექიმის უმცროსი ქალიშვილი და გაიზარდეთ დასავლეთ ედნოვიის პატარა ქალაქში. თქვენ ყოველთვის გიყვარდათ სწავლა, მოახერხეთ სტიპენდიის აღება შვედეთში, სადაც დაამთავრეთ ბაკალავრიატი სოციალურ მეცნიერებებში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდით ედნოვიაში, სადაც მუშაობდით პატარა არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე ზრუნავს. ამ ორგანიზაციაში სამწლიანი მუშაობის შემდეგ, დაბრუნდით ევროკავშირში, მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის განხრით მაგისტრატურაზე სასწავლებლად. ედნოვიაში დაბრუნების შემდეგ მდაიწყეთ მუშაობა ტრენერად სახელმწიფო-სამოქალაქო ურთიერთობის საკითხებში. ხართ ორი მცირეწლოვანი შვილის დედა.

მიზნები:

თქვენი მთავარი მიზანია, ფასილიტაცია გაუწიოთ სახელმწიფოსა და პროტესტის ორგანიზატორებს შორის ურთიერთობას. მიუხედავად იმისა, რომ სწავლობდით საზღვარგარეთ, თქვენ კარგად იცნობთ ადგილობრივ

საგანმანათლებლო სისტემას და ასევე პროტესტის მონაწილეების მიერ წამოყენებულ პრობლემებსაც.

ამასთანავე, თქვენ აცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ ცვლილებები აუცილებლად მოხდება და შედეგი იმ შემთხვევაში იქნება უფრო ეფექტური, თუკი მთავრობა ისურვებს რეფორმების მხარდაჭერას. ამ მიზეზით, თქვენ ცდილობთ მედიაციას ორ ჯგუფს შორის. თქვენი მთავარი მიზანია, დაარწმუნოთ მთავრობა, ითანამშრომლოს სტუდენტებთან და მათ ერთობლივად დაგეგმონ და გაატარონ რეფორმები.

ამასთანავე, თქვენ ძალიან გინდათ ჩართოთ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები დისკუსიებსა და მოლაპარაკებებში, განსაკუთრებით, ეს ეხება მოწყვლად ჯგუფებს. თქვენ აქტიურად თანამშრომლობთ ახალგაზრდული ორგანიზაციების საბჭოსთან და „უნივერსალურ პერსპექტივასთან“.

სახელი: ვალდემარ. ფ. ანდრესენი

სტატუსი: ლექტორების გაერთიანების ლიდერი

პირადი ინფორმაცია:

თქვენ დაიბადეთ 1958 წელს სამხრეთ ედნოვიაში. სკოლის დამთავრების შემდეგ ორი წლის განმავლობაში მშობლების მანქანების სახელოსნოში მუშაობდით, შემდეგ კი დედაქალაქში გადახვედით მექანიკური ინჟინერიის სასწავლებლად. დოქტორანტურაში სწავლისათვის თქვენ შეერთებულ შტატებში გაემგზავრეთ, მაგრამ სიხარულით დაბრუნდით სახლში და შეუდექით ლექტორის კარიერას უნივერსიტეტში. თქვენ ცხოვრობთ მეუღლესთან ერთად ედნოვიის დედაქალაქის შემოგარენში. გყავთ ორი ზრდასრული ქალიშვილი, რომლებსაც უკვე საკუთარი ოჯახები ყავთ. თქვენ ახლო ურთიერთობა გაქვთ უფროს ქალიშვილთან და შვილიშვილებთან.

მიზნები:

თქვენ აცნობიერებთ, რომ ედნოვიის განათლების სისტემაში შექმილი სიტუაცია არ არის იდეალური. ამის მიუხედავად, თქვენი აზრით, პროტესტი მხოლოდ ამძიმებს მდგომარეობას სტუდენტებსა და ლექტორებს შორის. არსებული მდგომარეობა ლექტორებისათვისაც არ არის ხელსაყრელი (მცირე ხელფასი, მწირი მასალა და ა.შ.), მაგრამ გექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ლექტორებთან სოლიდარობის ნაცვლად, სტუდენტები მხოლოდ მათ დადანაშაულებას ცდილობენ. ამით ისინი აბრკოლებენ

ლექტორების მუშობას.

თქვენი აზრით, სტუდენტებმა საკუთარი ენერგია სწავლისკენ უნდა მიმართონ და არა პროტესტისაკენ და გჯერათ, რომ მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება არსებული ეკონომიკური მდგომარეობით შეუძლებელია.

იქიდან გამომდინარე, რომ ლექტორების გაერთიანების წარმომადგენელი ხართ, გსურთ დარწმუნდეთ, რომ ლექტორებისა და უნივერსიტეტის მიმართ ნდობა შენარჩუნდება და რომ შეწყდება ლექტორების კორუფციაში დადანაშაულება.

თქვენ გაქვთ იმედი, რომ სტუდენტების ახირება პროტესტებისა და დემონსტრაციების თანხლებით რაც შეიძლება მალე დასრულდება და თქვენ შეძლებთ, დაუბრუნდეთ ყოველდღიურ რუტინას.

3.2 წესები და პროცედურები

ზოგადი ინფორმაცია:

სიმულაციური თამაში არის ინტერაქტიული სასწავლო მეთოდი, რომელიც მონაწილეს აქტივობის ეპიცენტრში აყენებს. ჩვენი სიმულაციური თამაშების მიზანია, შეიქმნას მოქმედებებისთვის საჭირო სივრცე. ეს სივრცე მონაწილეს ეხმარება, თავად მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მოვლენების მიმდინარეობაზე მოახდენს გავლენას. მნიშვნელოვანია, მონაწილეებმა სცადონ, რაც შეიძლება ღრმად შევიდნენ იმ როლში, რომელსაც სიმულაციური თამაშის განმავლობაში ასრულებენ, ამიტომ თამაშს სჭირდება თითოეული აქტორის მაქსიმალური ჩართულობა. როგორც კი შეამჩნევთ, რომ გიჭირთ თქვენი როლის შესრულება, გთხოვთ, მიმართოთ ერთ-ერთ ფასილიტატორს.

თამაშის მიზანი:

თამაშის ცენტრალური პრობლემაა კონფლიქტი სტუდენტების დიდ ნაწილსა და განათლების სისტემის სხვა აქტორებს შორის. მას შემდეგ, რაც დაიწყო სტუდენტური პროტესტი, მომავალი არჩევნების მოახლოების ფონზე, მთავრობა აღმოჩნდა წნეხის ქვეშ და იძულებულია მიიღოს ზომები არსებული კონფლიქტის მოსაგვარებლად. იმის გამო, რომ ედნოვიის ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ რთულია, კონფლიქტის განსამუხტვისთვის საჭირო განათლების სისტემის რეფორმებისთვის მხოლოდ შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები არსებობს. ამიტომ

ჩართული მხარეები უნდა შეთანხმდნენ გარკვეულ კომპრომისულ ნაბიჯებზე, რომლებიც არ მოითხოვს ძალიან დიდ თანხებს, მაგრამ მაინც დააკმაყოფილებს ყველა მონაწილე მხარეს და განმუხტავს სიტუაციას. რაიმე სახის რეფორმების გატარება, სიტუაციის დამშვიდება და კონფლიქტის გაგრძელება ან შეწყვეტა მთლიანად დამოკიდებულია სიმულაციური თამაშის მსვლელობაზე. აქედან გამომდინარე, სიმულაციური თამაშის არსი მდგომარეობს არა „გამარჯვებაში“, არამედ პერსპექტივის შეცვლაში. ახალი გადმოსახედიდან, საკითხი შესაძლოა სხვაგვარად ჩანდეს. მეტიც, თქვენ ბევრს ისწავლით საკუთარ უნარებზე, მოლაპარაკებების წარმოებაზე, და იმაზე, თუ როგორ მიაღწიოთ შეთანხმებებს და დასახულ მიზნებს. ასე რომ, ისიამოვნეთ თქვენი როლით!

3.3 განრიგი

სესია	აღწერა	ხანგრძლივობა (წთ)
1. ინტერესთა ჯგუფების შექმნა	თავისუფალი მოლაპარაკებები, სადაც მონაწილეებს შეუძლიათ მოკავშირეების მოძებნა და ინტერესთა ჯგუფების ფორმირება. მინიშნებებს იმაზე, თუ რა ინტერესები გაქვთ იპოვით თქვენი როლის აღწერაში. სივრცეს დაყოფს ფასილიტატორი და განსხვავებული ინტერესებთა ჯგუფები ოთახის სხვადასხვა ნაწილებში განლაგდებიან.	15 წთ
2. ინტერესტთა ჯგუფებში შეხვედრა	აქტორები უნდა შეიკრიბონ მცირე ჯგუფებში იმუშავონ სტრატეგიაზე, მოიფიქრონ აქტივობები, რომლებსაც შესთავაზებენ სხვა მონაწილეებს სიტუაციის გაუმჯობესებისთის და იფიქრონ შესაძლო კოალიციურ პარტნიორებზე. ამისთვის საჭიროა სხვა დაინტერესებულ პირებთან საუბარი და მათი პოზიციისა და ინტერესების გაცნობა. სტუდენტური მოძრაობის ჯგუფი	30 წთ

	მოამზადებს დოკუმენტს, რომელშიც აღწერს წაყენებულ მოთხოვნებს.	
3. დოკუმენტი ს წარდგენა	სტუდენტების მოძრაობა წარუდგენს მედიას დოკუმენტს შეთავაზებებითა და მოთხოვნებით	5 წთ
3. ახალი ამბები	მედიის ჯგუფი გადმოსცემს სიახლეებს ედნოვიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ყოველი მათგანი მიიღებს თანაბარ დროს პრეზენტაციისთვის. *ზოგადად, პრესას ყოველთვის აქვს უფლება უმნიშვნელოვანესი მმოვლენები პირდაპირ ეთერში გააშუქოს.*	10 წთ
4. პანელური შეხვედრა	ფორმალური პანელური შეხვედრა, რომელსაც ყველა მონაწილე ესწრება. პანელს მასპინძლობს განათლების მინისტრი, რომელიც მას სიტყვით გახსნის (2 წთ) და შემდეგ მოდერირებას გაუწევს. ყოველი ინტერესთა ჯგუფი ირჩევს წარმომადგენელს, რომელსაც 2 წუთი ექნება სალაპარაკოდ და აზრის გამოსათქმელად, შემდეგ კი გაიმართება მოდერირებული დებატები.	30 წთ
5. შესვენება	ყავის შესვენება	30 წთ

6. ახალი ამბები	მედიის ჯგუფი შეაჯამებს პანელურ შეხვედრას და სხვა ღონისძიებებს. *ზოგადად, პრესას ყოველთვის აქვს უფლება უმნიშვნელოვანესი მმოვლენები პირდაპირ ეთერში გააშუქოს.*	5 წთ
7. მრგვალი მაგიდა	სხვადასხვა აქტორები ხვდებიან ერთმანეთს მრგვალი მაგიდის გარშემო და ავითარებენ იდეებს, რომლებმაც უნდა შეიტანონ წვლილი კონფლიქტის მოგვარებაში სტუდენტებსა და პროცესებში ჩართულ სხვა აქტორებს შორის. ერთ მრგვალ მაგიდას უმასპინძლებს განათლების სამინისტრო, ერთს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ერთს სტუდენტური პროტესტის ლიდერი. სხვა მონაწილეებს შეუძლიათ შეუერთდნენ ნებისმიერ მრგვალ მაგიდას და ასევე შეეძლებათ, გადაინაცვლონ მაგიდებს შორის. აქტორები იწყებენ შეთავაზებებისა და პეტიციების მომზადებას.	20 წთ
8. სატელევიზიო დებატები	მრგვალი მაგიდის მასპინძლები ხვდებიან ერთმანეთს სატელევიზიო დებატებში, რომლებსაც მედიის ჯგუფი გაუწევს მოდერირებას. ამ დებატებში აქტორები გამართავენ დისკუსიას განათლების სისტემის მომავალთან დაკავშირებით და	20 წთ

	ასევე წარადგენენ საკუთარ შემოთავაზებებს/პეტიციებს.	
9. თავისუფალი მოლაპარაკებები	მთავრობის წევრები მუშაობენ შემოთავაზებებზე, ხოლო სხვა აქტორებს აქვთ შესაძლებლობა, შექმნან პეტიციები. ყველა აქტორს შეუძლია, თავისუფლად იმოძრაოს და იპოვოს მხარდამჭერები შემოთავაზებებისა და პეტიციებისთვის. მათ ასევე შეუძლიათ, გააერთიანონ შემოთავაზებები და პეტიციები ან/და ხელახლა ჩამოაყალიბონ ისინი.	45 წთ
10. შესვენება	სადილი	1 სთ
11. ინტერესტთა ჯგუფები	ინტერესთა ჯგუფები შეხვდებიან და განიხილავენ პეტიციებს/შემოთავაზებებს, რომლებიც ამ დროისათვის შექმნეს ინტერსტთა ჯგუფების წევრებმა და ხმას მისცემენ პეტიციებს/შემოთავაზებებს, რომლებიც უნდათ, რომ წარუდგინონ მედიას. თითოეულ პეტიციაზე გაიმართება არჩევნები (მარტივი უმრავლესობა). ინდივიდებს ასევე შეუძლიათ დამოუკიდებლად შექმნან საკუთარი პეტიციები და შემოთავაზებები. ყოველმა აქტორმა, რომელიც შექმნის პეტიციას ან შემოთავაზებას, უნდა იპოვოს 7 ადამიანი მაინც, რომელიც მას მხარს	30 წთ

	დაუჭერს (ხელმოწერით), რათა შეძლოს პეტიციის მედიისთვის წარდგენა.	
12. პრეს-კონფერენცია	ყოველი ინტერესთა ჯგუფის/აქტორის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები იქნება წარმოდგენილი პრეს-კონფერენციაზე. მედიას ასევე შეუძლია დასვას შეკითხვები და გააკეთოს კომენტარი.	20 წთ
13.თავის უფალი მოლაპარაკებები	ყველა აქტორს შეუძლია, თავისუფლად იმოძრავოს და იპოვოს მხარდამჭერები შემოთავაზებებისა და პეტიციებისთვის. მათ ასევე შეუძლიათ, გააერთიანონ განცხადებები და პეტიციები ან/და ხელახლა ჩამოაყალიბონ მოსაზრებები. აქტორებს ასევე შეუძლიათ შეცვალონ შექმნილი პეტიციები არსებული მდგომარეობიდან და ოპონენტების პეტიციებიდან/შემოთავაზებებიდან გამომდინარე.	40 წთ
14. შესვენება	ყავის შესვენება	30 წთ
15. ინტერესთა ჯგუფები	ინტერესთა ჯგუფები შეხვდებიან და განიხილავენ პეტიციებს/შემოთავაზებებს, რომლებიც ამ დროისათვის შეიმუშავეს და გადაწყვეტენ, რომელი პეტიციები უნდათ, რომ წარმოადგინონ საჯარო მოსმენის დროს. ამჯერად თითოეულ შემოთავაზებას	20 წთ

	სჭირდება 10 მხარდამჭერი, რათა ის წარდგეს საჯარო მოსმენაზე.	
16. საჯარო მოსმენა	საჯარო მოსმენას აწყობს განათლების მინისტრი მთავრობის სხვა წევრებთან ერთად. აქ მთავრობის წევრები წარმოადგენენ საკუთარ შემოთავაზებებს და სხვა აქტორებს სთხოვენ წარმოადგინონ პეტიციები, თუკი მათ მხარდამჭერთა საჭირო რაოდენობა ჰყავთ.	30 წთ
17. პანელური შეხვედრა/არ ჩევნები	მთავრობის წევრები (მინისტრები და პოლიტიკოსები) ქმნიან პანელს და შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ, თუ ვის მოიწვევენ. ისინი განიხილავენ შემოთავაზებებსა და პეტიციებს და იღებენ გადაწყვეტილებას (ხმის მიცემით), თუ რომელი რეფორმების გატარება მოხდება. ყოველმა შემოთავაზებამ ან პეტიციამ უნდა მიიღოს ხმათა უმრავლესობა. (51%)	20 წთ
18. საბოლოო გადაწყვეტილება	განათლების მინისტრი ასაჯაროებს გადაწყვეტილებას პრეს-კონფერენციის ფორმატში.	10 წთ

3.4 შემოთავაზებები და პეტიციები

სტუდენტურ მოძრაობასთან შექმნილი კონფლიქტის გადასაჭრელად მთავრობის წევრები და პოლიტიკოსები ამუშავებენ შემოთავაზებებს იმის თაობაზე, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა სიტუაცია დარეგულირდეს. ეს შემოთავაზებები შედგება კონკრეტული ღონისძიებებისგან, რომლებიც დაკავშირებულია განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებთან (ხელმისაწვდომობა, გადასახადები, ქრთამები, მოძველებული მასალები და ა.შ.).

პანელურ დისკუსიებზე გავლენის მოსახდენად, სხვა აქტორები ასევე ქმნიან საკუთარ პეტიციებს კონკრეტული მოთხოვნებით. რაც უფრო მეტი მხარდამჭერი ყავს პეტიციას, უფრო დიდია ალბათობა, რომ გადაწყვეტილების მიმღები აქტორები გაითვალისწინებენ მას.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია ქვეყანის შეზღუდული ფინანსური რესურსების გათვალისწინება.

<u>მოქმედებები</u>

პეტიციებთან და შემოთავაზებებთან ერთად, მონაწილე აქტორებს ასევე შეუძლიათ აქტივობების ჩატარება. ამისთვის მათ უნდა გადასცენ სამოქმედო ბარათები თამაშის ზედამხედველებს. ამის გაკეთება შესაძლებელია ნებისმიერი მოლაპარაკების დროს, მაგრამ არა პანელური შეხვედრების, სატელევიზიო დებატებისა და საჯარო მოსმენების დროს. შემდგომში მედიის გუნდი გააშუქებს ამ აქტივობებს და მათ გავლენას ედნოვიაში არსებულ სიტუაციაზე. თქვენ დამოუკიდებლად შეგიძლიათ სამოქმედო ბარათის შევსება. ის შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერი სახის შეთანხმებას ან

ღონისძიებას, რომლის განხორციელებაც შეუძლიათ აქტორებს მათი რესურსების ფარგლებში. აქტივობების მაგალითებია: კამპანია სოციალურ მედიაში, „კარდაკარ“ კამპანიის ჩატარება, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის მოპოვება, დემონსტრაციები და ა.შ.

სამოქმედო ბარათი

მოქმედების სათაური	
აღწერა	
შედეგი (ამ ველს ავსებს თამაშის ზედამხედველი)	
ხელმოწერა	

<u>პეტიცია ედნოვიის სახელმწიფოს წარმომადგენლებს</u>

ქვემოთ ხელის მომწერი აქტორების მიერ შემოთავაზებული პეტიცია:

გთხოვთ, განმარტეთ რას ეხება პეტიცია

საჭირო რესურსები (დაახლოებით):

თანხა: ადამიანური რესურსები: სხვა მასალები:

პირადი როლი

გთხოვთ, განმარტეთ, რას გააკეთებთ, რათა განახორციელოთ ეს აქტივობები და/ან რა გავლენა ექნებოდა ამ ქმედებას თქვენზე

<u>მონაწილე აქტორები:</u>

<u>ხელმოწერებ:</u>

შემოთავაზებები არსებული პრობლემების მოსაგვარებლად

ქვემოთ ხელის მომწერი აქტორები კრიტიკას გამოთქვამენ შემდეგ პირობებთან დაკავშირებით:

გთხოვთ, დაასახელეთ, რას და რატომ აპროტესტებენ სტუდენტები და ახსენით, რა პრობლემებია, თქვენი აზრით, განათლების სისტემაში

მოთხოვნები და რჩევები:

რა ნაბიჯების გადადგმაა საჭირო, რათა შეწყდეს პროტესტი? როგორია თქვენი შემოთავაზება?

ხელმოწერები:

4. სიმულაციური თამაშის ფასილიტაცია

სიმულაციური თამაშის დასაწყისში მნიშვნელოვანია, ფასილიტატორმა დეტალურად ახსნას წესები და პროცედურები, რათა ყველა მონაწილეს კარგად ესმოდეს საკუთარი დავალება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება გამარტივდეს მონაწილეებისათვის როლში შესვლა. ფასილიტატორს არაერთი მეთოდის გამოყენება შეუძლია საამისოდ, მაგალითისთვის:

1. *ხაზზე გადაბიჯება*: ხაზზე გადაბიჯების შემდეგ მონაწილეები ხდებიან თამაშის გმირები (მსახიობები). ამიტომ რეალობასა და სიმულაციურ თამაშს შორის უილავი საზღვრის გადაკვეთამდე მონაწილეებმა ხმამაღლა უნდა თქვან თავისი სახელები და შემდეგ უკვე ხმამაღლა გააცხადონ საკუთარი იდენტობა სიმულაციურ თამაშში. მაგალითად: „ახლა მე ვარ *X-ქვეყნის პრეზიდენტი“*.

2. მონაწილეებისათვის სახელების სამაგრების მიცემით და მათი პოზიციის/ფუნქციის მითითებით, რაც დაეხმარება მათ, თავი უფრო კომფორტულად იგრძნონ როლში. ეს ასევე სხვა აქტორებსაც ეხმარება, დაიმახსოვრონ დანარჩენი მონაწილეების როლები.

თამაშის დასრულების შემდეგ, მნიშვნელოვანია, მონაწილეებს მიეცეთ როლებიდან გამოსვლის შანსი, იმავე ფორმით, როგორც ისინი შევიდნენ როლში. შემდგომ, როგორც წესი, ხდება სიმულაციური თამაშის სხვადასხვა დონეებზე შეჯამება, მაგალითად: პირადი/ემოციური ნაწილი; სიმულაციური თამაშის პროცესი; სიმულაციური თამაში, როგორც მეთოდი. თამაშის შეჯამების დასაწყებად შემდეგი შეკითხვების გამოყენებაა შესაძლებელი:

• **გამეორება**: რა მოხდა? იყო თუ არა ყველა ჩართული? ვინ უძღვებოდა პროცესს/ჯგუფს/დღის წესრიგს?

• **გახსენება:** რა ნაწილმა ჩაიარა კარგად, რამ არა?

• **ემოციები:** რა ემოციებმა იჩინა თავი თამაშის დროს და რა გავლენა იქონია ამ ემოციებმა თამაშის მსვლელობაზე? რა იყო გამაღიზიანებელი თამაშში? რას ფიქრობენ სხვადასხვა ჯგუფები ერთმანეთზე? როგორ გვარდებოდა რთული სიტუაციები? ვინმეს პირადი დადანაშაულება ხომ არ მომხდარა?

• **შეჯამება:** რა ვისწავლეთ ამ ყველაფრიდან? რა გავლენა აქვს ამ ყველაფერს რეალურ ცხოვრებაზე?

• **გაგება:** რას გააკეთებდით ანალოგიურად რეალურ ცხოვრებაში? რას გააკეთებდით სხვაგვარად?

ოქროს წესი: ფასილიტატორების მხრიდან ჩარევა უნდა იყოს რაც შეიძლება ნაკლები, მაგრამ ზუსტად იმდენი, რამდენიც საჭიროა. ფასილიტატორის როლია, პირველ რიგში, მოთამაშეების მოტივირება, ითამაშონ აქტიურად და დამოუკიდებლად. გამომდინარე იქიდან, რომ მონაწილეების უმრავლესობა მიჩვეულია ბევრად უფრო პასიური როლის შესრულებას, ფასილიტატორმა ხაზი უნდა გაუსვას ამ ალტერნატიულ სასწავლო ატმოსფეროს. ფასილიტატორი არ უნდა განსჯიდეს მონაწილეების მიერ დასმულ ნებისმიერი სახის შეკითხვას. არ არსებობს სასაცილო შეკითხვა! ფასილიტატორი არ არის ვალდებული, გასცეს პასუხი ყველა შეკითხვას; საუკეთესო შემთხვევაა, როდესაც ფასილიტატორი თავად მონაწილისგან შეძლებს პასუხის მიღებას. ასევე მნიშვნელოვანია, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების მხარდაჭერა და არა საკუთარი (ფასილიტატორის) იდეების „გატანის“ მცდელობა[3].

[3] Training Manual, Simulation Games for Transition, 2013. CRISP e.V